ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 19 იანვარი 1998 №6 (541) ფასი 40 თეთრი


ნორვეგია
საბერძნეთი
საქართველო
ლატვია
სლოვენია
ალბანეთი



რევაზ ძოძუაშვილი და ვლადიმერ გუცაევი გუშინდელი წილისყრის ნებით მეტოქეებად იქცნენ

# ევროპა დალაგდა

## გუცაევი და ძოძუაშვილი კი ერთმანეთს დაეჯახნენ

| I ჯგუფი | VI ჯგუფი |
|---|---|
| იტალია | ესპანეთი |
| დანია | ავსტრია |
| შვეიცარია | ისრაელი |
| უელსი | კვიპროსი |
| ბელარუსი | სან-მარინო |

| III ჯგუფი | VII ჯგუფი |
|---|---|
| გერმანია | რუმინეთი |
| თურქეთი | პორტუგალია |
| ფინეთი | სლოვაკეთი |
| ჩრ. ირლანდია | უნგრეთი |
| მოლდოვა | ლიხტენშტეინი |
| | აზერბაიჯანი |

| IV ჯგუფი | VIII ჯგუფი |
|---|---|
| რუსეთი | იუგოსლავია |
| საფრანგეთი | ხორვატია |
| უკრაინა | ირლანდია |
| ისლანდია | მაკედონია |
| სომხეთი | მალტა |
| ანდორა | |

| V ჯგუფი | IX ჯგუფი |
|---|---|
| ინგლისი | შოტლანდია |
| ბულგარეთი | ჩეხეთი |
| შვედეთი | ლიტვა |
| პოლონეთი | ბოსნია |
| ლუქსემბურგი | ფარერები |
| | ესტონეთი |

# ბობოლები კმაყოფილები ჩანან

ევროპის გეირგვინოსან ჩემპიონს, გერმანიის ნაკრებს კვლავ გაეხსნა გზა დიდი ევროპული შეჯიბრის ფინალური ეტაპისკენ. არც არის გასაკვირი, წილისყრამ გერმანელები თურქებთან, ფინელებთან, ჩრდილოირლანდიელებთან და მოლდოველებთან მოახვედრა.

გერმანელთა მწვრთნელმა ბერტი ფოგსთმა თქვა: „ძალიან კმაყოფილი ვარ წილისყრის შედეგით და, ალბათ, ჩვენი ქომაგებიც ამასვე იტყვიან. რა თქმა უნდა, გარანტირებული არაფერია, მაგრამ უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არა მაქვს."

გერმანელებს, ევროპის სამგზის ჩემპიონებს, განსაკუთრებული ანგარიში ექნებათ ჩრდილოირლანდიელებთან, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის აწგასრულებულ ციკლშიც შეხვდნენ — შინ 1:1-ს ეთამაშნენ, ბელფასტში კი 3-1 მოუგეს. მაგრამ ამასთან, ჩრდილოეთ ირლანდია ის გუნდია, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორივე თამაში რომ მოუგო გერმანელებს.

„ეს შინიდან შინ მისვლას ჰგავს — თქვა გერმანელთა პრეს-ატაშემ ვოლფგანგ ნიერბახმა — მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი წლის წინ ჩრდილოირლანდიელებთან წავაგეთ, იმედს არ ვკარგავთ, რომ ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ."

რიქარდ მიოლერ ნილსენმა კი, რომელმაც კინაღამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა ფინეთის ნაკრები, განაცხადა: ჩვენ რომ გერმანელებთან შეყრა მოგვიწევს, ვგებ ის გუნდი უკვე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდეს. რა თქმა უნდა, გერმანია ფავორიტია, მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ფავორიტები მარცხდებიან ხოლმე"

გერმანელთა მიერ „უემბლიზე" პენალტებით დამარცხებულ ინგლისელებს კი ჯგუფში კვლავ პოლონელები ჩაუსხდნენ. ბოლო 24 წელიწადში პოლონელები და ინგლისელები მეხუთედ არიან ერთად. თანაც მათ ცეცხლოვან მეხუთე ჯგუფში შვედებს, ბულგარელებს და ლუქსემბურგელებს მოუყრიათ თავი. ინგლისელები და პოლონელები ერთმანეთს შეტოქებიან 1974, 1990, 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში და ასევე ევრო-92-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში.

„პოლონეთის გზა კარგად ვიცით — აღნიშნა გლენ ჰოდლმა — მაგრამ პოლონეთი ერთია იმ სამ გუნდთაგან, რომელთან შეხვედრაც არ გვინდოდა. დანარჩენი ორი პორტუგალია და საფრანგეთი გახლავან. ჩვენი ჯგუფი ალბათ უძნელესია. ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ბულგარეთი იქნება."

პოლონელთა მწვრთნელმა იანუშ ვოიჩიკმა თქვა: „ინგლისელების არანაირი კომპლექსი არა მაქვს. როცა ჭაბუკთა ნაკრებს ვწვრთნიდი, ინგლისელები დავამარცხეთ. იმ ბიჭების ნახევარი ახლა ეროვნულ გუნდშია."

წილის ულმობელმა ყრამ ერთად შეყარა იუგოსლავიის, ხორვატიისა და მაკედონიის ნაკრებები. ამ გუნდებს ერთმანეთთან არ უთამაშიათ და არც ჰქონდათ ამის სურვილი, რადგან ამათიანები ერთურთს ტყვიას უშენდნენ სისხლისმღვრელ ომში. მალტელები და ირლანდიელები ავსებენ ამ ჯგუფს, რომლის მთავარი ბრძოლებიც იმ ქვეყნებს შორის გაიმართება, ჰდრე რომ სოციალისტურ იუგოსლავიას შეადგენდნენ.

ხორვატთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა ავად იხუმრა: „კარგია, როცა მეგობართა წრეში ხვდები. ჩვენ გასვლის კარგი შანსი გვაქვს და შინაურ ამბავში ცხელ ორთაბრძოლასაც ვავახურებთ."

იუგოსლაველთა თავკაცმა სლობოდან სანტრაჩმა კი დაურთო: „ჩვენ ერთი სკოლა გვაქვს გავლილი. მსოფლიოში არავინ იცნობს ისე კარგად ერთმანეთს, როგორც ჩვენ. ხორვატები და იუგოსლავები მხარდამხარ თამაშობენ დიდ იტალიურ და ესპანურ კლუბებში და იქ არანაირი პრობლემა არა აქვთ. ისინი ერთმანეთს ძმობენ და ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თამაშები საამო საცქერი იქნება."

ფრანგებს კი რუსებთან, უკრაინელებთან, ისლანდიელებთან, სომხებთან და დებიუტანტ ანდორელებთან მოუწევთ თავიანთი ძალის მტკიცება.

ემე ჟაკე ეგებ არც იყოს ფრანგთა მწვრთნელი მომავალ სექტემბერს, მაგრამ სადღეისოდ კომენტარი მას ევალება: „რუსეთი აღმავლობის გზაზეა. ყოველ თამაშში ომი მოგველის, სხვაგვარად არაფერი გამოვა."

იტალიელები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან უმაღლესი ტიტულებისთვის საბრძოლველად, დანიელებს, შვეიცარიელებს, უელსელებსა და ბელარუსებს გაუმეზობლდნენ. ჩეზარე მალდინი: „ბალანსირებული ჯგუფი გვერგო. ყველა გუნდი დაკარგავს ქულებს. არა მგონია, გასეირნებამ მოგვიწიოს."

44 მონაწილე 9 ჯგუფში განაწილდა. აქედან ხუთი ჯგუფი ხუთგუნდიანია, დანარჩენში 6-6-მა მოიყარა თავი.

თითოეული ჯგუფის გამარჯვებული და ერთი საუკეთესო მეორე პირდაპირ გადიან ფინალურ ეტაპზე და მასპინძლებს, ბელგიელებსა და ჰოლანდიელებს უერთდებიან. რვა მეორეადგილოსანი კი მიმოსვლით პლეი-ოფში გაარკვევს კიდევ ოთხ ფინალისტს.

ინგლისელმა ბუქმეიქერებმა უილიამ ჰილის კანტორიდან უკვე გამოაქვეყნეს საჩემპიონო შანსების შემფასებელი პირველი ფსონები: ფავორიტი ჰოლანდიაა — 5:1-ზე შანსებით, შემდეგ გერმანია მოდის — 6:1-ზე და შემდეგ ინგლისი — 7-1ზე.

**მაიკ კოლეტი, როიტერი**

## მწვრთნელები ამბობენ

**ბო იოჰანსონი** (დანია): იმის თქმა, რომ იტალია ფავორიტია, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა წავაგოთ. ჩვენ არასოდეს ვიბრძვით მეორე ადგილისთვის. ჩვენ კარგი გუნდი ვართ.

**ემე ჟაკე** (საფრანგეთი): სიფრთხილე გვმართებს. რუსები და უკრაინელები საშიშნი არიან. ჩვენს სამს შორის უნდა გაირკვეს საქმე. ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სტიმულს შეგვმატებს.

**ტომი სოდერბერგი** (შვედეთი): მძიმე ჯგუფი გვერგო. ინგლისურ ფეხბურთს ვიცნობთ და ბევრი კარგი ახალგაზრდა გვყავს. ინგლისი ფავორიტია. ამწუთას ეს საუცხოო გუნდია. მაგრამ ჩვენ გვიყვარს ჩრდილიდან გამოსვლა.

**ხავიერ კლემენტე** (ესპანეთი): ფეხბურთში არაფერია შეუძლებელი. ავსტრიელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. ისრაელმა კი თავისი ძალა ბევრჯერ დაამტკიცა.

**ჰერბერტ პროხაზკა** (ავსტრია): მე კმაყოფილი ვარ. ესპანეთი ფავორიტად ითვლება, ჩვენ კი რეალური შანსი გვაქვს. ჩვენი უგულებელყოფა უაზრობაა.

**ანგელ იორდანესკუ** (რუმინეთი): პირველობისთვის ჩვენ და პორტუგალიელები ვიბრძოლებთ. ძნელი იქნება მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ყველაფრის ხელახლა დაწყება.

**უმბერტუ კოელიუ** (პორტუგალია): სამ გუნდს შეუძლია პირველობა. ფრთხილად უნდა ვიყოთ. ყოველი ფრე წაგებას უდრის.

**მიკ მაკკარტი** (ირლანდია): იუგოსლავია და ხორვატია დიდი გუნდებია. ჩვენი ჯგუფი უძნელესია. ეს ორი გუნდი თავისი დონით გერმანიას და საფრანგეთს უტოლდება. ჩვენ თავს დავდებთ.

**კრეიგ ბრაუნი** (შოტლანდია): ჩვენი სქოთური თვალთახედვით, ურიგო ჯგუფში არა ვართ. ჩეხები გაახურებენ, არც ლიტველები ჩაიწყობენ ჯიბეებში ხელს.

**იოზეფ ჰოვანეცი** (ჩეხეთი): ჩვენ ოპტიმისტები ვართ. იმედი მაქვს, კარგ სტარტს ავიღებთ. სქოთებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ფავორიტებიც ისინი არიან.

როგორც ჩანს, რუსების მწვრთნელს **ბორის იგნატიევს** დიდად არ ეპიტნავა უკრაინელებთან შეყრა და თავისი განცდის ირონიული ნათქვამით დაფარვა სცადა, უკეთესი იქნებოდა, უკრაინელებს სუფრასთან შევხვედროდეთო.



ბოლო ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელი წამი: ოლივერ ბირჰოფის დარტყმული ბურთი ჩეხების კარში შეგორდა და... გერმანელი შტეფან კუნცი ზეიმობს კონტინენტის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას

უეფას თავკაცის, ლენარტ იუჰანსონის მარჯვენა ქართველთათვის იღბლიანი არ გამოდგაო, ვერავინ იტყვის. წილისყრის შედეგები ჩვენთვის ძალიან სავალალოც შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა, როცა ყველაფერი ცნობილია, ტკბილად ოცნებასაც არავინ დაგვიშლის — ვინძლო იგი რეალობად გვექცეს. როცა იუჰანსონმა ქართველებს ბოლო მეტოქედ ალბანეთი გვარგუნა, სარბიელელები საქმეს შევუდექით. ქვემოთ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა კომენტარს შემოგთავაზებთ. მთავარი საკეთებელი მაინც ამათ მხრებზე გადაივლის. გაიგოს ყველამ, ვინ რას ფიქრობს. ქართველებისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ხომ გუშინ დაიწყო. ცხელ გულზე კომენტარიც არანაკლებ საინტერესო უნდა გამოდგეს...

# ვინ რას ფიქრობს

ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელი ვლადიმერ პანოვი წილისყრის შედეგით უკმაყოფილო არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ღალონებას ვერ შეატყობდით. მეორე ჯგუფს პანოვმა, არც ღვინო, არც წყალი უწოდა, მაგრამ...

—აუცილებლად ყველა მეტოქესთან ბოლომდე ბრძოლა მოგვიწევს. საშუალო სიძლიერის ჯგუფია და მეტოქეები გაორკეცებული ენერგიით გვეთამაშებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ალბანეთიც კი. ტირანაში ჯოჯოხეთური 90 წუთი გველის. ამას ადრინდელი გამოცდილებიდან გეუბნებით. საქმეში მინახავს საბერძნეთის გუნდიც. ესენი სამხრეთული სათამაშო სტილის მიმდევრები გახლავთ. თუ თამაშს აგებენ, ყველაფერს იკადრებენ, მცირე ეშმაკობით დაწყებული, სიმულაციით დამთავრებული. თანაც იმასაც ახერხებენ, მსაჯებმა ყოველივეზე თვალი დახუჭონ. არც უხეშობას თაკილობენ და მოწინააღმდეგის ნერვების მოშლაც კარგად ეხერხებათ. გულშემატკივარიც ხელს უწყობს თავისი გუნდის კარგ თამაშს. მატჩის წინა ღამეს სასტუმროსთან შეიკრიბებიან, ღრიალებენ, მღერიან და არ გაძინებენ, რათა მეორე დღეს მინდორზე სრული ენერგიით ვერ გახვიდე.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ გასვლითი მატჩები შედარებით რთული გველის, თორემ თბილისში არც ერთი მეტოქე წაუხდენელი არ დაგვრჩება.

წინასწარი კომენტარისგან ბატონმა ვოვამ თავი შეიკავა, მხოლოდ ის გვითხრა, ჯგუფის გამარჯვებულად ჩვენს გარდა ნორვეგია ან საბერძნეთი მესახებაო. მოკლედ, ნორვეგია, საბერძნეთი, საქართველო. ამათ შორის ერთი იპირველებსო.

**ვახტანგ კოპალეიშვილი,** საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— არ არის ცუდი ვარიანტი. ბედი გვქონია, ახლა ჯგუფში გამარჯვებაზე ფიქრიც შეგვიძლია. გუცაევსა და იმნაძეს მხოლოდ პირველობას ვუსურვებ. ძალიან ძლიერიაო, მეორე ქვეჯგუფზეც ვერ ვიტყვით. შეიძლება ჩვენი მეტოქეები ქვეყანას არ ანგრევენ, მაგრამ თითოეული მათგანი მებრძოლი გუნდი გახლავთ.

საბოლოოდ კი კოპალეიშვილის პროგნოზი ასეთია: პირველ ადგილს ნორვეგია, საბერძნეთი ან საქართველო დაისაკუთრებს.

**დავით ყიფიანი,** „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ამ ცხელ გულზე რა კომენტარი უნდა გავუკეთო. მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება, ჩვენი ამჟამინდელი მეტოქეები გაცილებით სუსტები არიან, ვიდრე უწინდელები. ამათგან ოფიციალურ მატჩებში მხოლოდ ალბანეთი გამოგვიცდია. მართალია, ნორვეგია და საბერძნეთიც შეგვხვედრია ამხანაგურად, მაგრამ ოფიციალური მაინც სხვა გახლავთ.

რაც შეეხება პროგნოზს, ბატონმა დავითმა თავი შეიკავა.

**მანუჩარ მაჩაიძე,** პარლამენტარი:

— ჩემი აზრით, გაგვიმართლა და ისეთ ჯგუფში მოვხვდით, სადაც წარმატებაზე ფიქრი სავსებით რეალურია. შეიძლება პროგნოზები ნაადრევი იყოს, მაგრამ, ალბათ, პირველი ადგილისთვის ნორვეგიელებთან მოგვიწევს ჭიდილი. დანარჩენები ვერც დიადი წარსულით დაიკვეხნიან და არც ახლა წყვეტენ ციდან ვარსკვლავებს.

**თემურ მახარაძე,** „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:

— თუ ამ ჯგუფიდან ვერ გავედით, ალბათ, აღარასოდეს გველირსება ფინალში თამაში. ყოველ შემთხვევაში, მეორე ადგილი მაინც უნდა დავიკავოთ. ჯგუფს აშკარად გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, მეტად თანაბარი ძალის მეტოქეები შეგვხვდნენ. რაკი საქართველო წინასწარი განთესვით მესამე სიძლიერის კალათაში მოხვდა, სულაც არ ნიშნავს, რომ საბერძნეთი ან თუნდაც ნორვეგია ჩვენზე ძლიერნი არიან. სიზმარშიც ვერ ვინატრებდი ასეთ იღბლიან კენჭისყრას. არც ერთი მეტოქის დამცირება არ მსურს, მაგრამ თავად ხედავთ, რომ მათ შორის არავინაა ტიტულოვანი და სერიოზული წარმატებისთვის არასდროს მიუღწევიათ. მართალია, ბოლო წლებში ნორვეგია მეტად გაძლიერდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ფინალებშიც გავიდა, მაგრამ იგი გერმანიის, ინგლისისა და იტალიის დონის გუნდი მაინც არ არის. მასთან ბრძოლა უფრო ადვილი იქნება და ჩვენს მოთამაშეებს ფსიქოლოგიური სტრესიც ნაკლებად შეაწუხებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მეტად გაგვიმართლა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მეოთხე ჯგუფის ძლიერ შემადგენლობას — რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა... ჩვენი მეტოქეები ხომ გაცილებით სუსტები არიან.

— ჩემი პროგნოზი? აბა, რა გითხრათ. წინასწარ ძნელია იმის თქმა, საქმე როგორ აეწყობა. ფავორიტებად ნორვეგიის, საბერძნეთისა და ჩვენს ნაკრებებს მივიჩნევ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საქართველომ აქამდე შეუძლებელი უნდა შეძლოთ. ბუნებრივია, ეს ჩემი სურვილიც არის და სავსებით რეალურადაც მეჩვენება. ადგილებს კი ასე გავანაწილებ: საქართველო, ნორვეგია, საბერძნეთი, ლატვია, სლოვენია, ალბანეთი.

**ილია დათუნაშვილი,** „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი:

— ამას ყველა ინატრებდა — ჩვენ ყველაზე სუსტ ჯგუფში მოვხვდით. ერთადერთი ევროპული დონის ნაკრები ნორვეგიაა, მაგრამ არც ის არის დაუმარცხებელი და სასწაულად ძლიერი. თუ მართლა რაიმე შეგვიძლია, ახლა უნდა გამოვაჩინოთ.

პროგნოზებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი, რადგან იშვიათად მართლდება. ყოველ შემთხვევაში, მეორე ადგილს ყველაზე ცუდ შედეგად მივიჩნევ. დროა, ქართულმა ფეხბურთმა თავისი სიტყვა თქვას. გამარჯვებული, ალბათ, მაინც საქართველოსა და ნოვეგიას შორის უძლიერესი იქნება. თუ ბოლოდროინდელ საერთაშორისო შეხვედრებს გავიხსენებთ, მოვლენები სწორედ ასე უნდა განვითარდეს. მაგრამ მიჭირს თქმა, რომელი იქნება ფინალისტი.

**მურთაზ ხურცილავა** — კომენტარისგან თავი შეიკავა.

„ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელ **რევაზ გაგუას** გაზრდილები არამარტო საქართველოს ნაკრების წევრები არიან. „ოლიმპიაკოსისა“ და საბერძნეთის ეროვნული გუნდის ნახევარმცველი ანდრო ნინიადისი (ყმაწვილობაში კი კიურჯიევი) სწორედ მის ხელში დაფრთიანდა. სხვათა შორის, კენჭისყრის შედეგი ჩვენგან შეიტყო და უმალ შესძახა:

— კარგი ჯგუფია! ცხელ გულზე მეტი რა ვთქვა...

**— არადა, უნდა თქვათ...**

— ძალიან გამახარეთ, წინა ორ ჯგუფთან შედარებით გაცილებით ხელსაყრელია — გერმანია, ბულგარეთი, ინგლისი და იტალია ჩვენ ახლანდელ ნებისმიერ მეტოქეზე ძლიერია, მაგრამ ხელწამოსაკრავიც არავინ არის, გულდამშვიდებულები რომ ვიყოთ თამაშის წინ. ყველასთან ბრძოლაა საჭირო. ქულებს ხონჩით არავინ მოგვართმევს.

**— თქვენი ვარაუდით, ფინალში გასვლა შესაძლებელია?**

— უპირველესად სწორედ ამას ვუსურვებ გუცაევს და ჩვენს ნაკრებს — სანუკვარი მიზნისთვის მიეღწიოთ. იმედი მაქვს, დათარსული წრე ახლა მაინც გაირღვევა და ფინალში გავალთ.

გულახდილად გეტყვით, კენჭისყრის შედეგმა იმითაც გამახარა, რომ შესაძლებლობა მომეცემა, ანდრო კიურჯიევი ენახო. მომენატრა ეს ოხერი. ვიცი, მასაც ძლიერ ეწადა საქართველოში ჩამოსვლა და იმედია, ერთმანეთს ახლა მაინც ვნახავთ. ტელეფონით კი ხშირად მეხმიანება, მაგრამ ათი წელი იქნება, არ მინახავს.

**დავით გვარამაძე,** ეროვნული ნაკრების კანდიდატი და „სკონტოს“ მეკარე:

— ლატვიაში კენჭისყრის შედეგები რომ შეიტყვეს, განსაკუთრებული უკმაყოფილება არ შემინიშნავს. თან გაუხარდათ, მაგრამ არცთუ ძალიან. თვლიან, რომ ნორმალურ ჯგუფში მოხვდნენ.

**— თავად რა აზრის ხარ?**

— მეტად კმაყოფილი დავრჩი. დიდი სურვილი მქონდა, სწორედ ლატვიელებს შევხვედროდით. ისე, გულახდილად გეტყვი: არ ვიცი, წინათგრძნობა იყო თუ სხვა რამ, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ სწორედ ლატვია იქნებოდა ჩვენი მეტოქე.

**— როგორ ფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლის შანსი თუ გვაქვს?**

— გვაქვს და თანაც როგორი... როცა მეტოქეთა ვინაობა გავიგე, ძალიან გამიხარდა. ისეთი გუნდები შეგვხვდა, როგორებსაც ვინატრებდი. ლატვიელებს ჩვენთან მოგების იმედი კი აქვთ, მაგრამ კარგად არ გვიცნობენ. ნახავენ, რა დღესაც დავაყრით. ჩვენთან რა უნდა გააწყონ, პასის მიცემა არ იციან.

**ლევან სილაგაძე,** ეროვნული ნაკრებისა და „სკონტოს“ მცველი:

— აქ ერთი ამბავი ატყდა, როცა გაიგეს, საქართველოს ნაკრებს ვხვდებითო. ამბობენ, ქართველ ვარსკვლავებს მაინც ვნახავთო — ქეცბაიას, არველაძეებს, ქინქლაძეს. თავიანთი მდგომარეობა კი სახარბიელოდ არ მიაჩნიათ, გასვლის შანსი არა გვაქვსო, წინა ჯგუფში ესტონეთს მაინც ვაჯობეთ, ახლა კი მეტად გაგვიჭირდებაო.

**— შენი პროგნოზიც გვაინტერესებს...**

— წინასწარ რაიმეს თქმა მიძნელდება, მაგრამ ფაქტია — ფინალში გასასვლელად საკმაოდ ხელსაყრელი ჯგუფია, წესით, უნდა გავიდეთ, თუმცა ამას კატეგორიულად ვერ განვაცხადებ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ახლანდელი ჯგუფი წინანდელებს სჯობს.

ცხადაძე, შელია და ქინქლაძე მურთაზთან შეკრებილიყვნენ სახლში და წილისყრის პირდაპირი ტელერეპორტაჟისთვისაც ერთად ეცქირათ. სამივეს სახელით ეროვნული გუნდის კაპიტანი კახი ცხადაძე გვესაუბრა:

— ნაღდად სასურველი ჯგუფია. არ არიან გერმანიის, ინგლისის და იტალიის მსგავსი გრანდები. ადრე ვამბობდით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ჯგუფიდან გავიდეთო, მაგრამ გულში ყველანი სხვაგვარად ვფიქრობდით, ვიცოდით, ვერც გერმანია — ბულგარეთს გავუმკლავდებოდით და ვერც ინგლის — იტალიას ვაჯობებდით. ახლა ევროპის ჩემპიონატის საგზურზე ფიქრი სავსებით რეალურად მეჩვენება.

**— წილისყრამ ისეთი გუნდებიც გვარგუნა მეტოქეებად, რომლებთანაც თავის დროზე წაგვიგია. ახლა მათზე რა აზრის ხართ, შეძლებთ რევანშის აღებას?**

— მალტის ოთხთა ტურნირზე სლოვენიასთან განცდილი მარცხი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ჩვენი ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბების პროცესში იყო. მას შემდეგ ეროვნული გუნდი ძალიან გაიზარდა, ბიჭები დაკაცდნენ, გამოცდილებაც შეიძინეს და გაცილებით ძლიერ კლუბებშიც დაფუძნდნენ.

მეტოქეებიდან ყველაზე ძლიერი ნორვეგიაა. ამათთან წასაგები არაფერი გვჭირდა. თამაშის ბოლო წუთებზე გაგვიტანეს და ისიც პენალტით. ახლა ინგლისში 14 ნორვეგიელი გამოდის, მაგრამ ისეთი მოთამაშეები, ჩვენ რომ გვყავს, მათთან არ მეგულება. ისინი ბრიტანული სტილის მიმდევრები არიან, მაგრამ ინგლისს კლასით ძალიან ჩამორჩებიან.

საბერძნეთში ძირითადის რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა. მიუხედავად ამისა, თავიდან მაინც ვიგებდით. არა, ამათი მოგება თაივსუფლად შეიძლება, ეს ჩვენს ძალებს არ აღემატება.

**მერაბ მამულაშვილი, მამუკა ძვანტალიანი; ზურაბ მეძველია ლონდონიდან**

# ძველი ნაცნობები

გუშინ, ხუთი საათის შემდეგ, რედაქციაში სატელეფონო ზარი არ წყდებოდა. აბა, რა დიდი მიხვედრა უნდა, ყველანი ქართველთა მეტოქეებს კითხულობდნენ. აქედანაც თუ ვერ გავედით, საშველი აღარ ყოფილაო — თითქოს პირშეკრულნი იყვნენ, ამით გამოხატავდნენ თავიანთ კმაყოფილებას. სარბიელელებმაც გავიხარეთ, ჩვენი პირველი რეაქციაც ასეთი იყო. რას ერჩი, კრუიფს, ვან ჰიმსტსა და ლენარტ იუჰანსონს მართლაც მშვენიერი მარჯვენა ჰქონიათ. სულ ბოლოს ოდნავ კი დაგვწყდა გული, ანდორის, აზერბაიჯანისა და ესტონეთის ნაცვლად ალბანეთმა რომ ამოყო თავი ჯგუფში, მაგრამ არც ესენი არიან დიდი ბედოვლათები. აი, მხოლოდ ეს გახლდათ გუშინდელი კენჭისყრისას მიუღებელი, დანარჩენი კი ისე აეწყო, უკეთესს ვერც ვინატრებდით. გაგვიმართლა, ნამდვილად გაგვიმართლა, ახლა აღარ გვექნება იმის თქმის საფუძველი, ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრა თანაჯგუფელთა სიძლიერეს დავაბრალოთ. ხუთი მეტოქიდან არც ერთია ისეთი, ციდან ვარსკვლავებს რომ წყვეტდეს. ქართველებიც მათ შორის ვართ, მაგრამ უკვე შეიძლება, ფავორიტებად მივიჩნიოთ თავი. რომელი ერთია ისეთი, შინ და გარეთ ვერ მოვუგოთ? დაგვეთანხმებით — არავინ. თანაც ხუთივესთან ნათამაშევი გვაქვს, ალბანეთის გარდა, ყველასთან ამხანაგურად, სლოვაკებს მალტის საერთაშორისო ტურნირზე გავამარჯვებინეთ, ბერძნებს — იოანინაში, ნორვეგიელებს — ოსლოში, ლატვიელებს კი რიგაში ვძლიეთ. ახლანდელ მეტოქეებთან, ერთად აღებული, თანაბარი ბალანსი გვაქვს, სამჯერ მოვიგეთ, სამჯერ წავაგეთ. იმედია, მომავალი თამაშების შემდეგ ჩვენი უპირატესობა თვალსაჩინო იქნება. და კიდევ, ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი. როგორც აქამდე ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრები ნორვეგიელებთან და ბერძნებთან საპასუხო ამხანაგურ მატჩებს გეგმავდა. ახლა, ჯგუფში ერთად მოხვედრის გამო, ეს გამოირიცხა, თუმცა, სამაგიეროდ, ქართველები წინა საშესარჩევჯგუფო რეპეტიციას მაინც გაივლიან. საქმე ისაა, რომ 4 თებერვლიდან მალტის საერთაშორისო ტურნირზე მასპინძელთა და ჩვენს გარდა ლატვია და პოლონელების შემცვლელი ალბანეთი ითამაშებენ.

# NZS სლოვენია

სლოვენიის საფეხბურთო კავშირი (Nogometna Zvena Slovenije) დაარსდა 1920 წელს. პრეზიდენტი რუდოლფ ზავრლი. გენერალური მდივანი — დან ჟოსტი.

ნაკრების თამაშები 1997 წელს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.03.97 | ლინცი | ა.მ. | ავსტრია 2:0 | გლიჰა (73), სილიაკი (82) |
| 02.04.97 | სპლიტი | მ.ჩ.შ. | ხორვატია 3:3 | გლიჰა (45, 65, 67) |
| 30.04.97 | კოპენჰაგენი | მ.ჩ.შ. | დანია 0:4 | |
| 10.09.97 | სარაევო | მ.ჩ.შ. | ბოსნია 0:1 | |
| 11.01.97 | ლუბლიანა | მ.ჩ.შ. | ხორვატია 1:3 | ზაჰოვიჩი (72) |

ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: ბოშკო ბოშკოვიჩი (ფელგუირაში, 12.01.69)

მცველები: ალეს კრიჟანი (მარიბორი, 25.07.71), რობერტ ენგლარო (ატალანტა, 25.08.69), მარკო გალიჩი (კროაცია, 22.04.70), დარკო მილანიჩი (შტურმი, 18.12.67), მირან სზერნიკი (გორიცა, 08.01.70), სანდი ვალენტინჩიჩი (ოლდენბერგი, 25.08.67), სიმონ სესლარი (პუბლიკუმი, 05.04.74), ივიცა ;ულიჩი (პრიმორიე, 27.12.73)

ნახევარმცველები: პეტერ ბინკოვსკი (ოსტერსი, 28.06.72), ჟონი ნოვაკი (ლეავრი, 04.09.69), ალეს ჩესი (გრაცერი, 07.04.68), ამირ კარიჩი (მარიბორი, 31.12.73), ზლატკო ზაოვიჩი (პორტო, 01.12.71), ალფრედ იერმანისი (აპოელი, 21.01.67), დემიან გაისერი (მმარიბორი, 08.05.70), მლადენ რუდონია (ლუგანო, 26.07.71), ვლადიმერ კოკოლი (მურა, 03.01.72)

თავდამსხმელები: სასო უდოვიჩი (ლოზანა, 13.12.68), მატიას ფლორიანჩიჩი (ტორინო, 18.10.67), ანტე სიმუნძა (მარიბორი, 28.09.71), პრიმოჟ გლიჰა (ნიორტე, 08.10.67)

მწვრთნელი: ზდენკო ვერდენიკი

სლოვენიელები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, გასაკვირი არცაა, ისინი ხომ ყოფილი იუგოსლაველები არიან. თუმცა, მათთან შედარებაც ზედმეტი იქნება. თუ ხასიათზე არიან, ითამაშებენ, თუ არადა, სრულ კაპიტულაციას გამოაცხადებენ. ხასიათი ტყუილად არ გვიხსენებია, სლოვენიელები იყვნენ, ხორვატები ლამის მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა რომ დატოვეს, გაიხსენეთ — ზაგრებში 3:3 ითამაშეს, აგერ „მარიბორი“ კი ამასწინათ უსასტიკესად და სამარცხვინოდ დამარცხდა შოთას „აიაქსთან“. კლუბებიდან ლიუბლიანის „ოლიმპიაა“ ჩვენთვის კარგად ნაცნობი. თბილისთან დაძმობილებული ქალაქის გუნდს ჩვენი დინამოელები ხშირად ეთამაშებოდნენ და ნახევარი ძალითაც შავ დღეს აყრიდნენ ხოლმე. მწვრთნელ ზდენკო ვერდენეკის განკარგულებაშიც ძირითადად ლეგიონერები არიან: რობერტ ენგლარო იტალიური „ატალანტას“ მცველია, „პორტუში“ თამაშობს ზლატკო ზაჰოვიჩი, ასევე იტალიაში, ოღონდ „ემპოლიში“ გააქვს გოლები მათიას ფლორიანჩიჩს, ერმინ სილიაკი კი, დღეებია, რაც „ბასტიიდან“ შვეიცარიულ „სერვეტში“ გადაბარგდა. სხვებთან შედარებით სლოვენიელებთან თამაშისას სწორედ ამ ფეხბურთელების უნდა გვეშინოდეს. სრულიად შესაძლებელია, სლოვენიასთან ორჯერვე წარმატებას მივაღწიოთ.

**სლოვენია 1:0 საქართველო**

მალტა. ლა-ვალეტა. „ტა-ქალი“.
8 თებერვალი 1994.
6 000 მაყურებელი.

**სლოვენია:** სიმეონოვიჩი, გალიჩი, პოლშაკი, კრიჟანი, ზიდანი, კატანეცი, იერმანისი (ბანკოვსკი 71), ზაჰოვიჩი, ზულიჩი (რუდონია 46), ფლორიანჩიჩი (ენგლარო 46), გლიჰა

**საქართველო:** დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე (გაველაშვილი 73), ყიზილაშვილი

**1:0 გლიჰა (80)**

**გაფრთხილება:** გოგიჩაიშვილი (13), რევიშვილი (24), ზიდანი (50)

**მსაჯი:** ლ. სამუტი (მალტა)



პრიმოჟ გლიჰა

# ნორვეგია

ნორვეგიის საფეხბურთო კავშირი (Norges Fotballforbund) დაარსდა 1912 წელს. პრეზიდენტი: პერ რავნ ომდოლი. გენერალური მდივანი ტურგვე ბორნო.

**ნაკრების თამაშები 1997 წელს**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.01.97 | მელბურნი | ა.მ. | კორეა | 0:1 | |
| 22.01.97 | ბრისბენი | ა.მ. | ზელანდია | 3:0 | სკამელსრუდი (60), ზორჩიჩი (80 ს.კ.), შ. ფლო (84) |
| 25.01.97 | სიდნეი | ა.მ. | ავსტრალია | 0:1 | |
| 29.03.97 | შარჯა | ა.მ. | საამიროები | 4:1 | ტ. ფლო (2, 38, 66), სოლბაკენი (90) |
| 30.04.97 | ოსლო | მ.ჩ.შ. | ფინეთი | 1:1 | სოლსკიაერი (83) |
| 30.05.97 | ოსლო | ა.მ. | ბრაზილია | 4:2 | რუდი (9), ტ. ფლო (17, 33), ოსტენსტადი (76) |
| 08.06.97 | ბუდაპეშტი | მ.ჩ.შ. | უნგრეთი | 1:1 | რუდი (9) |
| 20.07.97 | რეიკიავიკი | ა.მ. | ისლანდია | 1:0 | ი. ფლო (74) |
| 20.08.97 | ჰელსინკი | მ.ჩ.შ. | ფინეთი | 4:0 | სოლბაკენი (8), რუდი (12), ი. ფლო (48), ტ. ფლო (84) |
| 06.09.97 | ბაქო | მ.ჩ.შ. | აზერბაიჯანი | 1:0 | ტ. ფლო (43) |
| 10.09.97 | ოსლო | მ.ჩ.შ. | შვეიცარია | 5:0 | იაკობსენი (46), სოლბაკენი (50), ეგენი (65), ოსტენსტადი (74), ტ. ფლო (85) |
| 08.10.97 | ოსლო | ა.მ. | კოლუმბია | 0:0 | |



1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილე მეორე ჯგუფიდან — ნორვეგიის ნაკრები (დგანან): რეკდალი, ფლო, ბერგი, იონსენი, სტრანდლი, ოსტენსტადი; (სხედან): ლეონარდსენი, გროდასი, ჰაალანდი, მიუკლანდი, რუდი

## ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: ფროდ გროდასი (ჩელსი, 24.10.64), იორნ იამტფალი (რუსენბორგი, 24.07.66), ტომას გილი (დუისბურგი, 16.05.65)

მცველები: ალფ ინგე ჰაალანდი (ლიდსი, 23.11.72), ჰენინგ ბერგი (მანჩესტერი, 01.09.69), რონი იონსენი (მანჩესტერი, 01.09.69), ბენტ სკამელსრუდი (ლევერკუზენი, 18.05.66), როჯერ ნილსენი (შეფილდ იუნაიტედი, 08.08.69), იონი ჰანსენი (ტრომსო, 13.12.72), დონ ეგენი (ბრონდბიუ, 13.01.70), ტორე პედერსენი (ზანქტ პაული, 29.09.69), ტომას პერეირა (მოსი, 12.06.73), ანდრე ბერგდოლმო (რუსენბორგი, 13.10.71), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი, 03.03.69), გუნარ ჰალე (ლიდსი, 11.08.65), სიგურდ რუშფელდტი (რუსენბორგი, 11.12.72), როჯერ ჰელანდი (ბრანი, 26.09.73), დოგვინ ენერლი (სკაიდი, 09.12.72), ლარს ბოჰინენი (ბლექბერნი, 08.09.69), ტრონეგილ სოლტვედტი (ქოვენთრი, 15.02.67)

ნახევარმცველები: ერიკ მიუკლანდი (ლინცი, 21.07.71), ოივინდ ლეონარდსენი (ლივერპული, 17.08.70), კეტილ რეკდალი (რენი, 06.11.68), სტალე სოლბაკენი (ლილესტრიომი, 27.02.68), ლარს ბოჰინენი (ბლექბერნი, 08.09.69), ფრენკ სტრანდლი (ლილესტრიომი, 16.05.72), ჰოვარდ ფლო (ვერდერი, 04.04.70), ეგილ ოსტენსტადი (საუთჰემპტონი, 02.01.72), სტივ იოჰანსენი (ბოდო გლიმტი, 13.06.72), პეტერ რუდი (შეფილდ უენსდეი, 17.09.73)

თავდამსხმელები: იან აგე ფიორტოფტი (მიდლსბრო, 10.01.67), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერი, 26.02.73), ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, 15.06.73), იოსტეინ ფლო (სტრომგოდსეტი, 03.10.64), სტივ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული, 11.12.63)

მწვრთნელი: ეგილ ოლსენი

საფეხბურთოსი რა გითხრათ, მაგრამ ფაქტი კია, მეტოქე უფრო სათხილამურო ქვეყნიდანაა. ვიკინგები ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, შეიძლება ითქვას, ინგლისური ფეხბურთის მიმდევრები არიან, გრძელი გადაცემებისა და თავდამსხმელთა მოქნილობის ხარჯზე ცდილობენ ფონს გასვლას. მთავარი კოზირი აუტების მოწოდებაა, რომლებიც ხელით შესრულებულ კუთხურს წააგავს, მაგალითად, „მოლდე“ გამოდგება. ქართველებს თამამად შეგვიძლია ნორვეგიასთან წარმატებაზე ფიქრი, რადგანაც 96-ის შემოდგომის პირველ დღეს, ოსლოში პირწმინდად დავჯაბნეთ, მთელი მატჩის მანძილზე აშკარა უპირატესობას ვფლობდით, ეგ იყო, გოლი ვერ შევაგდეთ და შეხვედრის მიწურულს დავისაჯეთ. ამათ ყველაზე დიდ მიღწევად მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში თუ ჩაითვლება, რაც, უდავოდ, მწვრთნელის — ეგილ ოლსენის დამსახურებაა. იგი სათამაშო დისციპლინაზე ამახვილებს ყურადღებას, ძირითადად 4-5-1 განლაგებას ანიჭებს უპირატესობას. მისივე აზრით, ვიკინგთა სიძლიერე დაცვაში საიმედო თამაშია. ნორვეგიელები ვერც საკლუბო მიღწევებით დაიტრაბახებენ, ერთი „რუსენბორგია“, ჩემპიონთა ლიგაში რომ შეყოფს ხოლმე თავს, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს აღწევს. ფეხბურთელთაგან გამოირჩევიან მანჩესტერელი რონი იონსენი, სტივ ინგე ბიორნებიუ „ლივერპულიდან“ და ასევე მანჩესტერელი ჰენინგ ბერგი, რომლებიც ნებისმიერი მეტოქისთვის ძნელად გადასალახავი დაცვით ხაზს ქმნიან. მოედნის შუაში კეტილ რეკდალი, ერიკ მიუკლანდი, სტალე სოლბაკენი, იოსტეინ ფლო და თბილისში ნათამაშევი მოლდელი პეტერ რუდი მოქმედებენ. თავდასხმაში კი სხვებზე ხშირად მანჩესტერელი ოლე გუნარ სოლსკიაერი და ჩელსელი ტორე-ანდრე ფლო თამაშობენ. კარში შეფილდელი ფროდ გროდასი დგას. ერთი სიტყვით, საკმაოდ შეთამაშებული გუნდია. ისე, ნაკრების შემადგენლობის 90 პროცენტი ლეგიონერია. საქართველოსთან ერთად ეს გუნდი ჯგუფის ფავორიტად ჩავთვალეთ.

**ნორვეგია 1:0 საქართველო**

ნორვეგია. ოსლო. „ულევი“.
1 სექტემბერი 1996.
8 900 მაყურებელი

**ნორვეგია:** გროდასი, ჰაალანდი, ბერგი, იონსენი, ბიორნებიუ (სკამელსრუდი 58), რუდი (ი. ფლო 46), რეკდალი (სოლბაკენი 46), მიუკლანდი, ლეონარდსენი, ფიორტოფტი (ინერლი 46), სოლსკიაერი

**საქართველო:** ზოიძე, კუდინოვი, შელია (ლობჟანიძე 63), ცხადაძე, კობიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, რ. არველაძე (ცქიტიშვილი 67), ქეცბაია, ქინქლაძე (ჯამარაული 67), შ. არველაძე (ყაველაშვილი 63)

**1:0 სოლბაკენი (863)**

**გაფრთხილება:** იონსენი, ცხადაძე, ბერგი, კუდინოვი, ლეონარდსენი

**მსაჯი:** კ. სტადსგაარდი (დანია)

## პატარა ვიკინგი ჩვენ წინააღმდეგ

თბილისის „დინამო“ რომ „მოლდეს“ დაეჯახა, ამ პატარა გუნდს ჩამოყოლილი რამდენიმე გულშემატკივარი მთელი ქართულ-ვიკინგური ჯახის განმავლობაში იმეორებდა, ეჰ, სწორედ გუშინწინ გავყიდეთ ის ბიჭი, ცოტა რომ ეცლიათ, დღეს სხვა თამაში წავიდოდაო.

ის ბიჭი — ოლე გუნარ სოლსკიაერი გახლდათ, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილი შემტევი. მაშინ კი, პაიჭაძეზე არავის არაფერს ეუბნებოდა მისი სახელი. მხოლოდ ნორვეგიელები იმეორებდნენ, ძალიან მაგარი ვინმეაო. აქეთ კიდევ ინგლისური მედია აშაყირებდა ალექს ფერგიუსონს, ამ კაცს შესაშური უნარი აქვს არსაიდან არავის მოყვანისა და შესაბამისად, არაფერზე გაუთავებელი ლაპარაკისაო. ვინ არის ეს 23 წლის ბავშვისსახიანი ფეხბურთელი, რომლის გვარის წარმოთქმაც ისევე შეუძლებელია, როგორც იმ ქალაქის სახელისა, სადაც ის დაიბადაო. კრისტიანსუნდელი ოლე გუნარ სოლსკიაერი, თუ სოლშაერი, თუ სოლშაო, ენას იმტვრევდა გახალისებული მედია.

ეშმაკი ფერგი კი იმეორებდა, ეგ ბიჭი ყველას დაუმტკიცებს, ვინც არისო და ასეც მოხდა. თავდასხმაში პრობლემაგაჩენილ „იუნაიტედს“ არაერთხელ უშველა სოლსკიაერის გოლებმა. სანამ ფეხგამრუდებული ენდი კოული ჰოსპიტლიდან ჰოსპიტალში მოგზაურობდა, ოლეს გოლები გაჰქონდა. ის ძალიან მალე იქცა „ოლდ ტრაფორდის“ შინაურ ბიჭად. ეს კი სულაც არ არის ადვილი იმ გუნდში, სადაც ბექემი, გიგზი, ბათი და სხვა ცეცხლოვანი ბიჭები ბრწყინავენ. მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში „იუნაიტედის“ წინა ხაზის შემკვრელი სოლსკიაერი იყო.

სადღეისოდ, სოლსკიაერი ყველაზე პოპულარული ნორვეგიელი ფეხბურთელია. სამშობლოში ჩასულს გუნდ-გუნდად დასდევენ ჟურნალისტები. ხალხმა უკვე იცის, რომ დედამისს ბრიტა ჰქვია, მამამისი თივინდი კი ყოფილი მოჭიდავეა. ისიც საყოველთაოდ აღიარებული ამბავია, რომ მისმა მიჯნურმა სილიმ ჩრდილოეთის ზღვა გადასერა და მანჩესტერის გარეუბანში, საკლუბო სახლში ეწვია ოლე გუნარს. ამ დიდ სახლში ადრე ანდრეი კანჩელსკისი ცხოვრობდა, ახლა კი ახალგაზრდა ნორვეგიელი სახლობს. დიდი ხნით? ალბათ.



ოლე გუნარ სოლსკიაერი

ბიჭობის წლები [illegible] სამოყვარულო [illegible] შემდეგ „მოლდეში“ გადაბარგდა და იქ ჩატარებულ [illegible] თამაშში 31 გოლი გაიტანა. ტალანტი მალე ატყდა: პატარა ნორვეგიელის დასაუფლებლად მიმდინარე სატრანსფერო ჭიდილში „მენ იუმ“ იტალიური „კალიარი“ და გერმანული „ჰამბურგი“ დაამარცხა. გვარიანი ხმაურია სკანდინაველი ფეხბურთელისთვის, რომელმაც მხოლოდ წელიწადნახევარი მოასწრო პროფესიონალ მოთამაშედ ყოფნა.

რა გამოარჩევს სოლსკიაერს როგორც ფეხბურთელს? ამას ფერგიუსონზე უკეთ ვერვინ გვეტყვის:

„ეს ბიჭი ზურგის ტვინით გრძნობს თამაშს, საგოლე სიტუაციას. ონტატურ თვისებებზე ლაპარაკიც არ არის საჭირო. ვარჯიშში ისეთივეა, როგორც თამაშში და რაც მთავარია, დღითიდღე უმატებს. ყველანი გაგვაოცა მისმა მონდომებამ და მისმა წყურვილმა. თითქოს დამშეულიაო. შორიდან რომ შეხედავ, ვერც იტყვი, რომ ასეთი აგრესიულია. მე ვაზუსტებ — სპორტულად აგრესიული“.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მიმდინარე პრემიერლიგაში სოლსკიაერი მთლად ველარ არის „იუნაიტედის“ ძირითადი ფეხბურთელი. როგორც იქნა, ფეხზე დადგა ენდი კოული, თანაც დადგა ისე, რომ ყველა თამაშში ბურთს აგდებს. „ოლდ ტრეფორდზე“ მიეიდა ტედი შერინგემი და პატარა ნორვეგიელს მინდორზე გასასვლელი ბილიკი შეუვიწროვდა. ამის მიუხედავად, ის მაინც ხშირად ჩანს მოედანზე. ესეც არ იყოს და, ხვალინდელი დღე მისია, ფანობა არასოდეს ივიწყებს იმას, ვინც ალალად და სიყვარულით მიიღო.

# ალბანეთი

ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია (Federata Shqiptare e Futbollit) დაარსდა 1930 წელს. პრეზიდენტი — ედმონდ სპახო. გენერალური მდივანი — ედუარდ დერვიში.

**ნაკრების თამაშები 1997 წელს**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.03.97 | გრენადა | მ.ჩ.შ. | უკრაინა 0:1 | |
| 02.04.97 | გრენადა | მ.ჩ.შ. | გერმანია 2:3 | კოლა (62, 59, 90პ) |
| 07.06.97 | პორტო | მ.ჩ.შ. | პორტუგალია 0:2 | |
| 20.08.97 | კიევი | მ.ჩ.შ. | უკრაინა 0:1 | |
| 06.09.97 | ერევანი | მ.ჩ.შ. | სომხეთი 0:3 | |
| 10.09.97 | ციურიხი | მ.ჩ.შ. | ჩრდ. ირლანდია 1:0 | ახი (69) |
| 11.10.97 | ჰანოვერი | მ.ჩ.შ. | გერმანია 3:4 | მარშალი (55 ს.კ.), ტარე (80), ვატა (88) |

**ნაკრების შემადგენლობა:**

მეკარეები: ფოტო სტრაკოშა (ოლიმპიაკოსი, 29.03. 65), ბლენდი ნალბანი (ტირანა, 30.05.71)

მცველები: საიმირ მალკო (ლუშნია, 17.03.70), ედუარდ აბაზი (აკადემიკა, 10.06.63), არიან ჯუმბა (კალამატა, 07.09.68), რუდი ვატა (აპოლონი, 13.02.69), ერვინ ლამჩი (ჰანოვერი, 11.09.72), გიერჯი დემა (რუდარი, 17.08.71), სოკოლ კუშტა (ფლამურტარი, 17.04.64), არტონ ეილა (ბეშა, 04.05.70), ილირ ალიუ (ფლამურტარი, 15.07.76), ილირ შულკუ (პარტიზანი, 02.01.69), ერვინ ფაკაში (ფლამურტარი, 15.07.76), ფატოშ დაია (პარტიზანი, 20.10.66), ზამირ შპუზა (ტირანა, 24.08.73)

ნახევარმცველები: არტურ ლეკბელო (არისი, 23.02.66), სალვატორ კაჩაი (ნიქოზია, 23.06.67), კლინტონ ბოზგო (ოლიმპია, 13.07.69), ლედიო პანო (ქსანტი, 23.05.68), ბლედარ კოლა (პანათინაიკოსი, 01.08.72), ინდრიტ ფორტუზი (ტირანა, 23.11.73), ლეფტერ მილო (ირაკლისი, 02.04.66), არტონ ბანო (ლუშნია, 65), ნევილ დედე (ტირანა, 10.01.75), ვიკტორ პაჩო (ფლამურტარი, 07.12.71), ალტონ ახი (პანახაიკი, 17.06.75), ბაირამ ფრაოლი (ლუშნია, 14.09.68), არიან ბელაი (აპოლონი, 05.02.71), ალბან ბუში (ტირანა, 23.08.73), სოკოლ პრენვა (ფლამურტარი, 24.05.71)

თავდამსხმელები: ალტინ რაკლი (ჰერტა, 17.07.70), ფატმირ ვატა (სამობორი, 19.09.71), იგლი ტარე (კარლსრუე, 25.07.73), ამარილდო ზელა (მარშონია, 25.08.72), ალვარო ზალა (ტირანა, 23.11.72)

მწვრთნელი: ასტრიტ ჰაფიზი

**ალბანეთი 0:1 საქართველო**

ალბანეთი. ტირანა. „ქემალ სტაფა“.
14 დეკემბერი 1994.
20 000 მაყურებელი

**ალბანეთი:** სტრაკოშა, დემა, კაჩაი, ჯუმბა, ვატა (შულკუ 30), ლეკბელო (მალკო 46), ფორტუზი, ბელაი, კოლა, რაკლი, დემოლარი

**საქართველო:** დევაძე, რევიშვილი, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (მ. ჯიშკარიანი 65), ინალიშვილი, გოგრიჭიანი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (ჯამარაული 75)

**0:1 არველაძე (19)**

**გაფრთხილება:** ქინქლაძე (44), ქეცბაია (52), მალკო (52)

**მსაჯი:** მ. მოლნარი (უნგრეთი)

**საქართველო 2:0 ალბანეთი**

თბილისი. „ეროვნული“.
26 აპრილი 1995.
25 000 მაყურებელი.

**საქართველო:** დევაძე, ლუდუშაური, კუდინოვი, შელია (ლობჟანიძე 70), გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ა. არველაძე 59), ქინქლაძე, შ. არველაძე

**ალბანეთი:** სტრაკოშა, მემა, მალკო, ჯუმბა, ვატა, კაჩაი, კუშტა (დოსტი 84), ფორტუზი (პრენგა 56), დალიპი, რაკლი, დემოლარი

**1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)**

**გაფრთხილება:** ჯუმბა (45)

**მსაჯი:** რ. ლუნგი (ჰოლანდია)

შესავალში ვთქვით, გუშინ რაიმემ თუ დაგვიწყვიტა გული, ჩვენს ჯგუფში ალბანელების მოხვედრა იყოო. თუმცა, საწუწუნო რა გვაქვს, ალბანელებმა იკითხონ. რა გუნდი ალბანეთია, ქართველებმა ექვსი ქულა არ ვივარაუდოთ. თუმცა კი 94-ის დეკემბერში, არწივეთში, გამარჯვება ნერვების წყვეტის ფასად მოვიპოვეთ. მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა უსიტყვო გახლდათ. მხნეულად მხოლოდ დევაძის კარის ხარიხა და ძელები გვევლინებოდა, დემოლარმა ლამის რომ იყო, დაამსხვრია. ხოლო თბილისში თამაშზე ერთს ვიტყვით, ძალიან უფერული რამ გამოდგა, ცოტაც და მაყურებლებს ტრიბუნაზე ჩაეძინებოდათ. გამარჯვებასაც იოლად მოვაღწიეთ. ალბანელებს იქნებ ისევ გერმანელებთან გაუვარდეთ, რომლებსაც მეტად ანერვიულებენ ხოლმე. კლუბებიდან „პარტიზანის“, ფეხბურთელებიდან კი ყველაზე მეტად „ჰერტაში“ მოთამაშე ალტინ რაკლის გამორჩევა ღირს, ესეც იმ შემთხვევაში, ტრადიცია რომ არ დავარღვიოთ და დანარჩენი ოთხის მსგავსად ვინმეს მივაპყროთ თქვენი ყურადღება. რაც შეეხება დემოლარს, იგი ნეპტუნ ბაიკოსა და ასტრით ჰეფაზის სიაში აღარ ჩანს.



ბადურ ქოქიაშვილის ფოტო

ქეცბაიამ ასე გაიტანა გოლი ალბანელთა კარში

# საბერძნეთი

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია (Eilliniki Podosferiki Omospondia) დაარსდა 1926 წელს. პრეზიდენტი — კოსტას ტრიველასი.

**ნაკრების თამაშები 1997 წელს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.01.97 | იერუსალიმი | ა.მ. | ისრაელი 1:1 **კოსტისი (9)** |
| 19.02.97 | ათენი | ა.მ. | პორტუგალია 0:0 |
| 12.03.97 | პარალიმნი | ა.მ. | კვიპროსი 4:0 **იორიადისი (12), კოსტისი (44), ფრანცესკოსი (53), ალექსანდრისი (63)** |
| 02.04.97 | სარაევო | მ.ჩ.შ. | ბოსნია 1:0 **ფრანცესკოსი (74)** |
| 30.04.97 | სალონიკი | მ.ჩ.შ. | ხორვატია 0:1 |
| 19.08.97 | ირაკლისი | ა.მ. | კვიპროსი 2:1 **მახლასი (22), გონიასი (753)** |
| 11.10.97 | ათენი | მ.ჩ.შ. | დანია 0:0 |

**ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ილიას ატმაძიდისი (აეკ 24.04.69), ნიკოს მიხოპულოსი (პაოკ, 20.02.70).

**მცველები:** ეფსტრატიოს აპოსტოლაკისი (პანათინაიკოსი, 11.05.64), მარინოს უზუნიდისი (პანათინაიკოსი, 10.10.68), იანის კალიცაკისი (პანათინაიკოსი, 10.12.66), ნიკოს დაბიზასი (ოლისპიაკოსი 03.08.73), მიხალის კასაპისი (აეკ, 06.06.71), კარიაკოს კარატაიდისი (ილიმპიაკოსი, 04.07.65), იორგოს ანატოლაკისი (ოლიმპიაკოსი, 16.03.74), ალექსანდროს ალექსანდრისი (ოლიმპიაკოსი, 21.10.68), ნიკოს საკელარიდისი (ირაკლისი, 30.09.70), ნიკოს ლიბეროპულოსი (პანათინაიკოსი, 04.08.75), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი, 31.08.72), ილიას პურსანიდისი (იფი, 13.04.72), სტელიოს იანაკოპულოსი (ოლიმპიაკოსი, 12.07.74)

**ნახევარმცველები:** თეოდოროს ზაგორაკისი (პაოკ, 17.10.71), კოსტას ფრანცესკოსი (პაოკ, 04.01.69), ზისის ვრიზასი (პაოკ, 09.11.73), ანდრეას ნინიადისი (ოლიმპიაკოსი, 10.02.71), ვასილის ცარტასი (სევილია, 12.11.72), მიდალის ვლახოსი (აეკ, 20.09.67), იორგოს იორიადისი (პანათინაიკოსი, 09.03.72), გრიგორიოს იორგატოსი (ოლიმპიაკოსი, 31.10.72)

**თავდამსხმელები:** დანიელ ბატისტა (აეკ, 09.09.64), თემისტოკლის ნიკოლაიდისი (აეკ, 17.09.73), ხრისტოს კოსტისი (აეკ, 15.12.72), გეორგიოს დონისი (ბლექბერნი, 20.10.69), ნიკოს მახლასი (ვიტესი, 16.06.73)

მწვრთნელი: კოსტას პოლიხრონიუ

კერკეტი კაკალის სახელი აქვს. გამამწარებელი გუნდების კატეგორიას განეკუთვნება. თითქოს ესპანური სტილი აქვს, მაგრამ გაცილებით ცუდი შესრულებით, უფრო ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. ეს ნაკრები ერთადერთი იყო ამერიკის ჩემპიონატზე, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა. წარმატებაც მოკრძალებული აქვს — თითოჯერ მონაწილეობდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. როგორიც ქვეყანაა, კლუბებიც ისეთია, „პანათინაიკოსი" არ იყო, ბოლოს, გადამწყვეტ მატჩში „რუსენბორგი" რომ გაამწარა? ამხანაგურად ამათთანაც გვითამაშია, ვუგებდით კიდეც, მომენტს მომენტზე ვქმნიდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. ეს, პირველ ყოვლისა, მსაჯის დამსახურებაა, რომელმაც ოთხი ქართველი უმიზეზოდ გააფრთხილა, ადგილობრივმა მაყურებლებმაც დაიდეს ამაში წილი. სხვათა შორის, ელადის მიწაზე გამარჯვება ერთობ რთული საქმეა — ბერძენი გულშემატკივარი ხომ მეტად დაუოკებელია. ფეხბურთელებიც გამომწვევად იქცევიან, შეუძლიათ, ნებისმიერი პროვოკაცია მოუწყონ მოწინაამღდეგეს. თბილისში, თუ გახსოვთ, 18 წლამდელმა ბერძნებმაც ამით დაგვამახსოვრეს თავი. ფეხბურთელთა დიდი არჩევანიც როდი აქვთ. ვის ვის და ჰოლანდიის „ვიტესში" მოთამაშე იქაური ჩემპიონატის ბომბარდირს, ნიკოს მახლას გამოვყოფდით, ქვეპარას ყოფილ თანაგუნდელს, ვაპერძნებულ ბრაზილიელ დანიელ ბატისტასთან ერთად. ელინელთა ფავორიტობის რა მოგახსენოთ ... კოსტას პოლიხრონიუს შეგულებული ... კონკურენციაა, ახლა ნინიადისი რომ არის.

ვანა ბევრ ბერძენს ნახავთ უცხოეთის კლუბებში? რა თქმა უნდა, არა, მთელი ეს ბერძნული კომპანია შეიძლება შემოვფარგლოთ „ბლექბერნის" დუბლში ჩარჩენილი გეორგიოს დონისით და გასული სეზონის „სევილიელებით", ვასილის ცარტასით და პეტროს მარინაკისით. თუ მაინცდამაინც განთქმულობაზე მიდგება საქმე, ისევ ნიკოს მახლასი უნდა დავასახელოთ, ჰოლანდიური არნჰემის „ვიტესის" მეგოლე.

24 წლის მახლასი დღეს ყველაზე მეტად ცნობილი ბერძენი ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, ის არ თამაშობს დიდ კლუბში და, რა თქმა უნდა, არც „აიაქსს" და „ეინდჰოვენს" დაუდგამთ თვალი ამ შავტუხა ბიჭისთვის, მაგრამ პატარა „ვიტესი", რომელსაც ბევრის გამწარება ძალუძს, სრულიად წარმოუდგენელია მახლასის გარეშე. მისი დარტყმები და გოლები ათქმევინებს არნჰემული კლუბის მოთამაშეებს, ეს ის ბიჭია, ათიდან ცხრაჯერ რომ გაგიმართლებსო.

მახლასის, როგორც ფეხბურთელის აკვანი კრეტის ოფი-ში დაირწა. იქ მწვრთნელად იყო ჰოლანდიელი ეუგენიუს ბერარდი, რომლის რეკომენდაციამაც ბერძენი „ვიტესში" მოახვედრა. გერარდი აღტაცებული იყო მახლასით, გაუთავებლად ლაპარაკობდა მის გარღვევებსა და საუცხოო დარტყმებზე. „ვიტესში" დამკვიდრება არ იყო იოლი, მაგრამ მა-

### საბერძნეთი 2:1 საქართველო

საბერძნეთი. იოანინა. P.A.C.
8 მაისი 1996.
30 000 მაყურებელი

**საბერძნეთი:** ატმაძიდისი (მიხოპულოსი 46), აპოსტოლაკისი (კონსტანტინიდისი 46), კასაპისი (ფრიზარი 46), უზუნიდისი, კალიცაკისი, ნიკოლაიდისი, ზაგორაკისი, ალექსანდრისი, გეორგიადისი, ცარტასი (ბატისტა 46, ნასიოპულოსი 59), დონისი (ფრანცესკოსი 46)

**საქართველო:** ზოიძე (ტოგონიძე 22), ლუდუშაური (დემეტრაძე 46), ლობჟანიძე, კუდინოვი, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, რ. არველაძე, ქეცბაია, გოგრიჭიანი (გუჩუა 55), შ. არველაძე

0:1 გოგრიჭიანი (15), 1:1, 2:1 ნიკოლაიდისი (67, 88)

**გაფრთხილება:** ქეცბაია (25), ლობჟანიძე (32), აპოსტოლაკისი (36), ტოგონიძე (70), გუჩუა (78), კონსტანტინიდისი (80)

მსაჯი: ... ზულფო (ალბანეთი)

# არნჰემელი ბერძენი

ხლასმა აქაც გამოიჩინა თავი და შეუვის ბრაზილიელ ... შეადგინა ირლანდიელ ტრუსტფულთან და იუგოსლავიელ ჩუროვიჩთან ერთად.

ჰოლანდიაში მახლასს ის გამოარჩევს, რომ ყოველთვის ფორმაშია, ყოველთვის ცეცხლის ხაზზეა და ყოველთვის სადღაც იძვრება. აღარავინ გამოთქვამს ეჭვებს მისი კლასის, უნარის შესახებ. თავად ჰოლანდიურ მედიას თუ ვერწმუნებით, ნიკოსი ნაღდად შედის ამ ქვეყანაში მოთამაშე საუკეთესო თავდამსხმელთა ათეულში. ჰოლანდიაში კი, სადაც ყველა შეტევასა და გოლის გატანაზე ფიქრობს, ეს სულაც არ არის უბრალო რამ.

კიდევ ერთი საკითხია საბერძნეთის ეროვნული ნაკრები. ამ ხუთიოდ წლის წინათ, როცა მახლასი ყველაზე პერსპექტიულ თინეიჯერად ითვლებოდა ქვეყანაში, ნაკრების უფროსობამ ბევრი აღარ იფიქრა და ამ 19 წლის ბიჭით შეცვალა შინაური ფეხბურთის ლეგენდა, აეკ-ის მეგოლე ვასილის დიმიტრიადისი. შეცვალა და არც შემცდარა. სადებიუტო ამხანაგურ თამაშში ავსტრიელთა წინააღმდეგ მახლასმა გოლი შეაგდო და თავისიანებს მოაგებინა კიდეც. ახალბედა პირდაპირ ფრინავდა. მანვე გაუტანა გამარჯვების გოლი რუსებს, ბერძნების მთავარ მოწინააღმდეგეებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. ამ გამარჯვებამ კი ბერძნები პირველ ადგილზე დააყენა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრილი საბერძნეთის ნაკრები ალბათ ყველაზე სუსტი იყო ოცდაოთხ მონაწილეს შორის. ბერძნები ისე გამოემგზავრნენ სამშობლოში, რომ სამ თამაშში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანეს. რაღა აღნიშვნა უნდა, რომ მახლასმაც ვერაფრით გამოიჩინა თავი. ჩემპიონატი რომ გასრულდა, მახლასს თანდათან ამოეკვეთა ფეხი ნაკრებიდან, მაგრამ დაბრუნება რომ შედგებოდა, აჭვი არავის ეპარებოდა. ამ გაზაფხულიდან არნჰემელი ბერძენი კვლავ გამოჩნდა ლურჯსამოსიანთა შორის და ლომის წილი დაიდო გუნდის ერთ-ორ გამარჯვებაში, გამორჩევით კი, სლოვენთა ძლევაში.

თუმცა ბერძნებმა ვერაფერი მოუხერხეს დანიელებს და ათენური ფრეს შემდეგ საფრანგეთის საგზურის გარეშე დარჩნენ. ახლა კი ახალი საწაკრებო სეზონი იწყება, ნიკოს მახლასი აუცილებლად იქნება რჩეულთა შორის, ის ხომ ყოველთვის ფორმაშია.


ნიკოს მახლასი

# ლატვია

ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია (Latvijas Futbola Federacija) დაარსდა 1921. პრეზიდენტი — გუნტის ინდრიკსონი. გენერალური მდივანი — აინის მეზეცკი.

**ნაკრების თამაშები 1997 წელს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02.97 | პარალიმნი | ა.მ. | კვიპროსი 0:2 |
| 15.02.97 | დერინია | ა.მ. | ლიტვა 1:0 **ელისეევი (63)** |
| 17.02.97 | დერინია | ა.მ. | პოლონეთი 2:3 **ბლაგონადეჟდინი (21), პახარი (55)** |
| 02.04.97 | ლუცერნი | ა.მ. | შვეიცარია 0:1 |
| 30.04.97 | რიგა | მ.ჩ.შ. | ბელარუსი 2:0 **სევლიაკოვი (38, 83)** |
| 18.05.97 | ტალინი | მ.ჩ.შ. | ესტონეთი 3:1 **ბაბიჩევი (53), ელისეევი (80), ლემსალუ (87 ს.კ.)** |
| 08.06.97 | რიგა | მ.ჩ.შ. | ავსტრია 1:3 **ასტაფიევი (89)** |
| 25.06.97 | რიგა | ა.მ. | ანდორა 4:1 **შტოლცერსი (36), ბლეიდელისი (58, 83), სტეპანოვი (82)** |
| 10.07.97 | ვილნიუსი | ა.მ. | ესტონეთი 2:1 **ბაბიჩევი (35), პახარი (50)** |
| 11.10.97 | გლაზგო | მ.ჩ.შ. | შოტლანდია 0:2 |

**ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** რაიმონდ ლაიზანი (სკონტო, 05.08.64), ოლეგ კარავაევი (ცვიკაუ 13.02.61)

**მცველები:** იგორ ტროიცკი (ბალტიკა, 11.01.69), მიხაილ ზემლიანსკი (სკონტო, 21.12.69), ვიტალი დოლგოპოლოვი (იელგავა, 03.10.73), არტურ ზაკრეშევსკი (დაუგავა, 07.08.71), იგორ სტეპანოვი (სკონტო, 21.01.76), ოლეგ ბლაგონადეჟდინი (სკონტო, 16.05.71), ბორის მონიაკი (სკონტო, 04.11.70), იური შევლიაკოვი (სკონტო, 24.01.59), ალექსანდრ სტრადინში (დაუგავა, 15.10.68), ოლეგ რუდენკო (დაუგავა, 28.12.73), ვალენტინ ლობანოვი (ლიეპაია, 23.10.71), ალექსანდრ ფედოტოვი (დინაბურგი, 29.03.71)

**ნახევარმცველები:** ვალერი ივანოვი (სკონტო, 23.02.70), ვიტალი ასტაფიევი (ავსტრია, 03.04.71), არმანდას ზიბერლინში (ლეიპაია, 13.08.65), ანდრეი შტოლცერსი (სკონტო, 07.07.74), ვიტალი ტეპლოვი (შლემა, 20.03.70), იმანტის ბლიდელისი (სკონტო, 16.08.75), სერგეი ტარასოვი (დინაბურგი, 16.01.71)

**თავდამსხმელები:** როლანდის ბულდერსი (ლეიპაია, 12.03.65), ვლადიმერ ბაბიჩევი (სკონტო, 22.04.68), ალექსანდრ ელისეევი (ლიეპაია, 11.08.71), ვიტას რიმკუსი (ნიურნბერგი, 21.06.73), მარიან პახარი (სკონტო, 05.08.76), აიანრს ლინარდსი (ლეიპაია, 12.05.64)

**მწვრთნელი:** რევაზ ძოძუაშვილი

ოო, ბალტიისპირელებს სატრაბახო ერთი აქვთ — ნაკრების მწვრთნელი. ნათქვამია, ქართველს ქართველი თუ დაამარცხებსო. სწორედაც რომ ასეა, თორემ ლატვიელები რისი მაქნისებიც არიან, ყველამ კარგად ვიცით. ყოფილი საბჭოეთის დროს „დაუგავა" ფართხალებდა პირველ ლიგაში, ახლა კი ადგილობრივი მასშტაბით თავმომწონე, ქართველებით სავსე „სკონტო" ქმნის ამინდს ლატვიურ ფეხბურთში. ძოძუაშვილის სათავკაცო გუნდის წარმატებებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ლატვიელებმა ამას წინათ ამხანაგური მატჩი გამართეს კატალონიის ნაკრებთან და 0:3 წააგეს. მიხიჩას თქმით, ისინი შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილნი დარჩენილან, მომენტები ბლომად შეუქმნიათ, მაგრამ ლაიზანს უთამაშია ძალიან ცუდად. ლატვიის ნაკრების სათამაშო სტილზეც ვერაფერს გეტყვით. გამორჩეული ფეხბურთელი ახლანდელი „სკონტოს" მწვრთნელი ალექსეი სტარკოვი იყო, დღეს კი კაპიტანსა და ფორვარდს, ვლადიმერ ბაბიჩევს მიგვიჩნევთ საუკეთესოდ. წესით და რიგით, ლატვიელებს ორივე მატჩი უნდა მოვუგოთ, საკითხავი მხოლოდ ის გვაქვს — რევაზ ძოძუაშვილმა არ მოიგონოს რაიმე ხრიკი და ქულა არ დაგვაკარგვინოს.

# ლატვიელთა კაპიტანი ბაბიჩევი იმუქრება

მეტოქეთა ვინაობა რომ შევიტყვეთ, ლატვიის ნაკრების სამ წევრს გავესაუბრე. პირველი ტელეფონთან მარიან პახარი მოვიდა:

— ... ძალიან ნორმალური ჯგუფია ... ლი დავრჩი. ხელს გვაძლევს, ისეთი მეტოქეები შეგვხვდნენ. გამიხარდა, რომ ქართველებს ვეთამაშებით. ხომ იცით, „სკონტოში" თქვენებურები თამაშობენ, კარგი ბიჭები არიან და ოფიციალურ შეხვედრაში მათთან ძალების მოსინჯვა ურიგო არ უნდა იყოს.

— **ქართველებთან შეხვედრის პერსპექტივა გხიბლავს თუ მოგების იმედიც გაქვს?**

— რა თქმა უნდა, გამარჯვების იმედს არ ვკარგავ და ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია. თუკი ლატვიის ნაკრებმა ავსტრიისა და ბელარუსის დამარცხება მოახერხა, თქვენთანაც საამისოდ ვიბრძოლებთ, ან რატომ არ უნდა ვიფიქროთ მოგებაზე? ფინალში გასასვლელადაც თავს დავდებთ.

— **შენი აზრით, ეს რეალური იქნება?**

— ნაკლებად სავარაუდოა, ... გასვლის შანსს ... შევაფასებდი, მაგრამ ... ერთ შეხვედრას არ ... არ მეპარება, ბევრსაც გავაწვალებთ.

— **საქართველოს შანსებზე რაღას იტყვი?**

— ახლა მიჭირს ამის თქმა. მართალია, „სკონტოს" და საერთოდ, ლატვიაში მოთამაშე ქართველების წყალობით თქვენს ფეხბურთზე კარგი წარმოდგენა შეგვექმნა, მაგრამ ეროვნული გუნდი სხვა თემაა. ახლა მალტაში მოგვიწევს თქვენებთან თამაში, თანამეგობრობის თასზე „დინამოსაც" შევხვდებით და უფრო რეალურ სურათსაც მაშინ დავინახავ.

ვლადიმირ ბაბიჩევი, ლატვიის ნაკრების კაპიტანი, „სკონტოს" თავდამსხმელი:

— ვიტყოდი, რომ კენჭისყრამ ლატვიისა და საქართველოს ნაკრებებს ფინალში გასვლის მშვენიერი შესაძლებლობა მისცა.

— **თქვენ რა, ფინალში გასვლაზე ფიქრობთ?**

— დიახ, დიახ, სწორედ ფინალში გასვლის იმედი მაქვს. ან კი რა არის აქ შეუძლებელი. თავად განსაჯეთ, ჯგუფის უდავო ფავორიტი ნორვეგიაა, დანარჩენებთან ბრძოლა კი სავსებით რეალურად მიმაჩნია. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. წინასწარ არც ნორვეგიელებს ... დამარცხებას. უბრალოდ ... არავის დავუთმობთ.

— ... საქართველოსა და ლატვიის თანაბარი ძალის ნაკრებები ჰყავთ?


ვლადიმირ ბაბიჩევი

— ... მართალია, თქვენს გუნდში ავტორიტეტები არიან — ქეცბაია, ქინქლაძე და არველაძეები ნებისმიერ ნაკრებს დაამშვენებენ, მაგრამ სახელი არ იგებს. თანაც ღირსებანი მარტო თქვენ არ გაგაჩნიათ, რაღაც-რაღაცეებით ჩვენც მოვიწონებთ თავს.

— **მაინც რას გულისხმობ?**

— კონკრეტულად, თამაშის ორგანიზაციასა და საერთაშორისო დონეზე თამაშის გამოცდილებას. არ დაგავიწყდეთ, ლატვიის ნაკრები ექვსი წელია ყალიბდება, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია.

— **ამით რისი თქმა გინდა, ქართველებს ორგანიზაციითა და გამოცდილებით სჯობნით?**

— არა, ეს აზრადაც არ გამივლია. უბრალოდ, ჩვენი ნაკრები კარგა ხანია კომპლექტდება და თამაშის კარგი ორგანიზაციაც თვალში საცემია.

— **ძოძუაშვილის დანიშვნის შემდეგ რა შეიცვალა ლატვიის ნაკრებში?**

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან მისი ხელმძღვანელობით გუნდი მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და კატალონიის ნაკრებთან წააგო — 0:3. მაშინ დაშავებული ვიყავი და შეკრებას და თამაშს ვერ ვესწრებოდი.

— **ახლაც ტრავმირებული ხარ?**

— არა, კარგა ხანია, მოვმჯობინდი და სრულადაც ვიტვირთები. კატალონიაში ხომ ერთი თვის წინ ვითამაშეთ.

„სკონტოს" მცველი იგორ სტეპანოვი იმით არის ცნობილი, რომ ბარსელონაში, „ბარსასთან" შეხვედრის 93-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 2:2 იყო, სრულიად უხიფათო ვითარებაში საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ხელით მოიგერია. „ბარსელონამ" სწორედ მისი დასანანი შეცდომით ისარგებლა და ჯოვანის პენალტით შეხვედრა მოიგო:

— საკმაოდ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა. არც ერთი მეტოქე არ არის ისეთი, იოლი თამაში რომ გველოდეს. ყველასთან ბრძოლით მოგვიწევს თავის გატანა. მოკლედ, გასეირნების იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს კარგიც არის, სწორედ ასეთ შეხვედრებში ვხვეწთ ოსტატობას. სუსტ მეტოქესთან ეს შეუძლებელია და ამიტომაც გამიხარდა, მეტოქეთა ვინაობა რომ შევიტყვე.

— **ესე იგი, ლატვიის ნაკრებს ფინალში გასვლის იმედს უტოვებთ.**

— რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ თითოეული ქულისთვის — მათ ხომ ოქროს ფასი დაედება და ეს კარგად გვესმის. ჩვენნაირი პატარა ქვეყნის გუნდისთვის ნებისმიერი ქულა ძვირადღირებული და სასიხარულო იქნება. კარგია, მეტოქედ ქართველები რომ გვეყოლება, მათ სტილს ხომ მეტ-ნაკლებად ვიცნობთ.

**მერაბ მამულაშვილი**

### ლატვია 1:3 საქართველო

ლატვია. რიგა. „რესპუბლიკური".
26 ივნისი 1994

**ლატვია:** ლაიზანი, ტროიცკი (ელისეევი 57), ასტაფიევი, ზემლინსკი, შევლიაკოვი, სპრო..., ...ანოვი, ..., ბლაგონადეჟდინი, ... (... 70), დრუპასი

**საქართველო:** ... კაციტაძე, ნემსაძე, ... ჯანაშია (სეფიაშვილი 80), ინალიშვილი, ჯამარაული, ტუღუში (ტყებუჩავა 78), ქინქლაძე, კაჭარავა

0:1 ჯანაშია (13), 1:1 ელისეევი (60), 1:2 კაჭარავა (74), 1:3 ჯამარაული (76)

**გაფრთხილება:** ... (30), ჯანაშია (80)

## ინგლისი

XXIII ტური

**ნიუკასლი 2:1 ბოლტონი**
1:0 ბარნსი (6), 1:1 ბლეიკი (72), 2:1 ქეცბაია (90)

**ბლექბერნი 5:0 ასტონ ვილა**
1:0 შერვუდი (21), 2:0, 3:0, 4:0 გალაჰერი (29, 54, 66), 5:0 რიპლი (81)

**ქოვენთრი 2:2 არსენალი**
1:0 ვილანი (21), 1:1 ბერხკამპი (50), 1:2 ანელკა (57), 2:2 დაბლინი (663)

**ლიდსი 1:2 შეფილდი**
0:1 ნიუსომი (51), 1:1 ჰემბრიჯი (63ს.კ.), 1:2 ბუთი (83)

**ლესტერი 0:0 ლივერპული**

**უიმბლდონი 0:0 დერბი**

**ტოტენჰემი 1:0 ვესტ ჰემი**
1:0 კლინსმანი (7)

**ევერტონი 3:1 ჩელსი**
0:1 ფლო (37), 1:1 სპიდი (39), 2:1 ფერგიუსონი (62), 3:1 დაბერი (82)

**ბარნსლი 1:0 კრ. პალასი**
1:0 უორდი (26)

**საუთჰემპტონი — მანჩესტერი**
დღეს გაიმართება

# ალანს გამარჯვება მოაქვს


REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ვესტ ჰემი. მასპინძლებს „მეორედ მოსულმა" კლინსმანმა (მარცხნივ) უშველა

მოსახდენი უნდა მომხდარიყო. საკმაო დრო გავიდა, სანამ ნანატრი გამარჯვება მოვიდოდა. დანავსული სერია აღარ უნდა გაგრძელებულიყო, უკვე მეტისმეტი იქნებოდა. განა არ კმაროდა ცხრა მატჩი, რომელმაც არა და არ მოიტანა გამარჯვება, ცხრა შეხვედრა, რომელმაც გუნდი ერთობ უკან დასწია. ცხრა მატჩი... ბოლოს და ბოლოს გუნდს აუცილებლად უნდა მოეგო.

მასპინძელთა გამარჯვების იმედი „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" შეკრებილ ფანებს, ცხადია, არ მოშლიათ და, ეჭვგარეშეა, არც არასდროს მოეშლებათ, მაგრამ, როგორც ხშირად მომხდარა ამ სეზონში, მატჩის დასაწყისი „ნიუკასლს" კარგს არაფერს უქადდა. ამის მიზეზი მარტივია — გუნდი მოიშალა, ვერ იქნა და ვერ დაადგა საშველი სტაბილურობას. არეულობას მარცხი და დაღმასვლა მოჰყვა, მაგრამ მუდმივი ამქვეყნად არაფერია, წაგებებსაც უნდა დასმოდა წერტილი. ექსლივერპულელმა ჯონ ბარნსმა მეექვსე წუთზე სცადა ამის გაკეთება — მასპინძლები ნაადრევად დაა-[illegible]ურა. სხვათა შორის, ბრენეგენის კა-[illegible] [illegible]ჯობებული გოლი ბარნსისთვის, [illegible] შეჯიბრებაში გატანილი მე-200 ჯერითი გამომდგარა. მიუხედავად დაწინაურებისა და საკმაოდ სუსტი მეტოქისა, კენი დალგლიშის გუნდი ვერ გუნდობდა და ამიტომაც იყო, ჰისლოპის კართან უფრო მეტი ხიფათი რომ იქმნებოდა. სტუმართა შეტევებს შესვენებამდე შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მერე ბლეიკმა ივაჟკაცა და თითქოს კვლავ გადადო „ნიუკასლელთა" გამარჯვება. სანამ ბლეიკი შეაგდებდა, ტრიბუნების ყურადღება მასპინძლების სათადარიგოთა შორის წამომდგარმა ერთმა ფეხბურთელმა მიიპყრო — ალან შირერი დიდი ხნის ნანატრი დაბრუნებისთვის ემზადებოდა. ზაფხულში ოთხთა ტურნირზე მიღებულმა კოჭის მძიმე ტრავმამ მსოფლიოს ერთ საუკეთესო თავდამსხმელს თამაშის საშუალება არ მისცა, თუმცა, ახლა, ამ სეზონში ნათამაშევ პირველსავე მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ შირერმა გოლი ვერ გაიტანა, თანაგუნდელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მისი გამოჩენიდან შვიდ წუთში, 79-ზე დალგლიშმა დანიელ ტომასონს ქართველი ქეცბაია ამჯობინა და ამ ორმა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა განაპირობა კიდეც სამი ქულა. ის-ის იყო, მსაჯს სასტვენისთვის უნდა ჩაებერა, რომ შირერის გადაცემით ქეცბაიამ 2:1 გახადა.

— გამარჯვების შეხვედრის პირველი წუთიდანვე მჯეროდა. ძალიან მიხარია, დაბრუნებას „ნიუკასლის" მოგება რომ მოჰყვა. ეს მთელი გუნდისთვის დიდი სტიმულია. მე რაც შემეხება, ვგრძნობ, ნელ-ნელა საქმე უკეთესობისკენ მიდის. ალბათ, ერთი კვირაც და საბოლოოდ განვკურნები. იცით, ძალიან ჟღელვებულობდი, მეშინოდა, უიღბლო დაბრუნება არ გამომსვლოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი აეწყო. ახლა ჩვენ დაკარგულის დაბრუნებას შევეცდებით, მიუხედავად იმისა, რომ ქარს და მეტოქეებს მართლაც ძალიან ბევრი გავატანეთ — თქვა გახარებულმა ალან შირერმა. მანვე დალგლიში ტკბილად მოიხსენია, დიდი მადლობა ასეთი ნდობისთვისო. შირერმა დააფასა დალგლიში, მაგრამ კლუბის მეორე თავდამსხმელმა, კოლუმბიელმა ფაუსტინო ასპრილიამ, რომელიც ახლა 9,8 მილიონ დოლარად „პარმაში" აპირებს დაბრუნებას, განაცხადა, „ნიუკასლის" ნგრევის თავიდათავი დალგლიშია, ამაში ეჭვი არავის შეეპაროსო. —კიგანმა ფეხბურთელები ერთმანეთთან დაგვაახლოვა, ბრწყინვალე გუნდი შექმნა, მაგრამ რად გინდა, იგი წავიდა თუ არა, დალგლიშმა ყველაფერი თავდაყირა დააყენაო.

მოკლედ, „ჯორდებში" დიდი არეულობაა. ისე, კაცმა რომ თქვას, როგორი ატმოსფეროცაა გუნდში, კლუბსაც ისეთი შედეგები აქვს.

სხვა მატჩებიდან ის არის აღსანიშნავი, რომ ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა „ბლექბერნმა" ბირმინგემელები გაანადგურა. მასპინძელთა გამარჯვებას, ცხადია, მხოლოდ „ასტონ ვილას" მეოცნებე გულშემატკივარი გამორიცხავდა, მაგრამ თუ როი ჰოჯსონის ბიჭები 5:0 მოიგებდნენ, არავის ეგონა. ინგლისის სამგზის ჩემპიონმა „ბლექბერნმა" შეუდარებლად ითამაშა და დამსახურებულადაც იმარჯვა, მაგრამ გამარჯვებულთაგან შოტლანდიელი თავდამსხმელი კევინ გალაჰერი რომ არ აღვნიშნოთ, უსამართლობა იქნება. იმის შიშით, ბომბარდირების პრეტენდენტები ერთობ წინ არ წავიდნენო, მან ერთბაშად სამი გოლი შეაგდო, რისგამოც „ივუდ პარკი" ქომაგთა შეძახილებისგან კინაღამ დაინგრა.

უხეშობით გამოირჩეოდა მატჩი ქოვენთრი სიტიში, სადაც ბარნსლელმა მსაჯმა სტივენ ლოჯმა ჯერ სტუმართა გაავებული ვიეირა გააძევა, შემდეგ კი არც მასპინძელი უილიამსი დაინდო. ვიეირა მსაჯის ყვითელ ბარათს არ დაეთანხმა და იმიტომ გააგდეს, უილიამსი კი არბიტრის უხეში შეცდომის მსხვერპლი გახდა. მასსა და ბერხკამპს შორის ორთაბრძოლისას, ჰოლანდიელმა მოწინააღმდეგის უხეშობის კარგი ინსცენირება მოაწყო, მსაჯი კი ანკესს წამოეგო. ვიდეოჩანაწერმა უილიამსის უდანაშაულობა დაამტკიცა. სწორედ ამაზე თქვა „ქოვენთრის" შოტლანდიელმა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა, „ფეხბურთის დონე ბოლო წლებში ძლიერ ამაღლდა, სამწუხარო მხოლოდ ისაა, მსაჯობის ხარისხი რომ დაეცაო". ჩვენ „არსენალს" ვამარცხებდით, მაგრამ არბიტრმა დაგვღუპა. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ასოციაციამ მსაჯებს ყურადღება უნდა მიაქციოს" — განაცხადა სტრაჩანმა. სხვათა შორის, ამ მატჩში ლონდონელთა პირველი გოლი დენის ბერხკამპმა გაიტანა, რომელსაც თითქოს ფორვარდის მოვალეობა მიეწყებული ჰქონდა.

ლონდონის კიდევ ერთი გუნდი, „ტოტენჰემი" თანაქალაქელ „ვესტ ჰემს" მასპინძლობდა. დამარცხების შემთხვევაში და კონკურენტი „ბარნსლის" გამარჯვებისას (რაც მოხდა კიდეც) მასპინძლები პრემიერლიგის ბოლო საფეხურზე დაეშვებოდნენ, მაგრამ განგებამ ასე არ ინება. „ტოტენჰემის" იმედმა იურგენ კლინსმანმა მე-7 წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი შეაგდო, რითაც გუნდი სირცხვილს გადაარჩინა.

„ლივერპული" ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას ესწრაფვოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. „წითლებიც" ხომ ადამიანები არიან? ჰოდა, როი ევანსის ბიჭებმა ხუთი მოგება იკმარეს. მართალია, შეხვედრა არ წაუგიათ, მაგრამ რომ მოეგოთ, უეჭველია, მათთვის უკეთესი იქნებოდა. მაკმანამანს და ოუენს საგოლე შანსები საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და არც ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი გუნდის შესაძლებლობები იყო განუსაზღვრელი.

პრემიერლიგის დებიუტანტი „ბარნსლი" შინ, ცოტა არ იყოს უცნაურ „კრისტალ პალასს" მასპინძლობდა. ლონდონელებმა აქამდე 23 ქულა მოაგროვეს და აქედან 19 სტუმრად, მაგრამ გასვლაზე თამაშის სპეციალისტებმა ამჯერად ვერაფერი მოახერხეს. მართალია, ეშლი უორდის 26-ე წუთზე შეგდებულ გოლს სტუმართა შვედმა ტომას ბროლინმა 78-ზე უპასუხა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე ჩათვალეს.

პირველ დივიზიონში კი კვლავ წააგო „მანჩესტერ სიტიმ", ამჯერად შინ 0:1. ორივე ქართველმა ითამაშა, მაგრამ შელია 72-ე წუთზე ვან ბლერკმა შეცვალა, ქინქლაძე კი პირველი ტაიმის შემდეგ — კონლონმა. და კიდევ, ამ მატჩში ერთადერთი გოლის გამტანი კევინ ფილიპსი 55-ე წუთზე შეგდებული ბურთით კლუბის რეკორდსმენ ბრაიან კლიფს გაუტოლდა, რომელმაც 50-იან წლებში ზედიზედ ექვს მატჩში შესძლო თავის გამოჩენა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 15 | 4 | 3 | 51:16 | 49 |
| ბლექბერნი | 23 | 12 | 8 | 3 | 44:24 | 44 |
| ჩელსი | 23 | 13 | 3 | 7 | 50:25 | 42 |
| ლივერპული | 22 | 12 | 5 | 5 | 38:19 | 41 |
| არსენალი | 22 | 10 | 8 | 4 | 39:26 | 38 |
| დერბი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:29 | 36 |
| ლიდსი | 23 | 10 | 5 | 8 | 32:27 | 35 |
| ვესტ ჰემი | 23 | 11 | 1 | 11 | 34:33 | 34 |
| ლესტერი | 23 | 7 | 9 | 7 | 26:22 | 30 |
| ნიუკასლი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:28 | 29 |
| შეფილდი | 23 | 8 | 5 | 10 | 36:46 | 29 |
| ასტონ ვილა | 23 | 7 | 6 | 10 | 26:33 | 27 |
| ევერტონი | 23 | 7 | 5 | 11 | 26:33 | 26 |
| საუთჰემპტონი | 22 | 7 | 4 | 11 | 25:30 | 25 |
| უიმბლდონი | 22 | 6 | 7 | 9 | 21:26 | 25 |
| ქოვენთრი | 23 | 5 | 9 | 9 | 23:33 | 24 |
| კრ. პალასი | 23 | 5 | 8 | 10 | 21:32 | 23 |
| ტოტენჰემი | 23 | 6 | 5 | 12 | 20:39 | 23 |
| ბოლტონი | 23 | 4 | 10 | 9 | 20:35 | 22 |
| ბარნსლი | 23 | 6 | 3 | 14 | 20:57 | 21 |

## პირველი დივიზიონი

27-ე ტური. სტოკ სიტი — ბრედფორდი 2:1; ბირმინგემი — ჰადერსფილდი 0:0; სიტი — სანდერლენდი 0:1; მიდლსბრო — იფსვიჩი 1:1; ნორვიჩი — ნოტინგემი 1:0; ოქსფორდი — ჩარლტონი 1:2; პორტ ვეილი — პორტსმუთი 2:1; ქუინზ პარკი — ტრანმერი 0:0; შეფილდ იუნაიტედი — ვულვერჰემპტონი 1:0; სვინდონი — რედინგი 0:2; ვესტ ბრომვიჩი — ქრიუ 0:1; ბერი — სტოკპორტი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 27 | 16 | 6 | 5 | 45:25 | 54 |
| მიდლსბრო | 27 | 15 | 7 | 5 | 44:24 | 52 |
| ჩარლტონი | 27 | 15 | 5 | 7 | 51:35 | 50 |
| სანდერლენდი | 26 | 14 | 7 | 5 | 43:24 | 49 |
| შეფილდი | 27 | 13 | 10 | 4 | 43:29 | 49 |
| ვულვზი | 27 | 13 | 6 | 8 | 37:27 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 6 | 9 | 27:25 | 42 |
| სტოკპორტი | 27 | 12 | 5 | 10 | 45:37 | 41 |
| ბირმინგემი | 27 | 10 | 10 | 7 | 32:19 | 40 |
| სვინდონი | 27 | 11 | 5 | 11 | 32:40 | 38 |
| ბრედფორდი | 27 | 9 | 10 | 8 | 26:28 | 37 |
| ნორვიჩი | 27 | 10 | 6 | 11 | 27:39 | 36 |
| ქუინზ პარკი | 27 | 8 | 9 | 10 | 30:40 | 33 |
| რედინგი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:38 | 33 |
| იფსვიჩი | 26 | 7 | 11 | 8 | 30:27 | 32 |
| სტოკ სიტი | 27 | 8 | 8 | 11 | 29:41 | 32 |
| ქრიუ | 27 | 9 | 4 | 14 | 31:40 | 31 |
| პორტ ვეილი | 27 | 8 | 5 | 14 | 29:38 | 29 |
| ჰადერსფილდი | 27 | 7 | 7 | 13 | 30:40 | 28 |
| სიტი | 27 | 7 | 6 | 14 | 31:32 | 27 |
| ოქსფორდი | 27 | 7 | 6 | 14 | 32:42 | 27 |
| ტრანმერი | 26 | 6 | 8 | 12 | 28:34 | 26 |
| ბერი | 27 | 4 | 13 | 10 | 24:35 | 25 |
| პორტსმუთი | 26 | 6 | 5 | 15 | 30:44 | 23 |

# ქეცბაიას შოუ



ქეცბაიას არ გაუმართლა, ყველა სხვა შემთხვევაში ის გმირი იქნებოდა, მაგრამ შირერის გამოჩენამ ყველაფერი დაჩრდილა. მისი დაბრუნება მართლაც ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ყველა გაზეთის პირველ გვერდზე ეს ეწერა — ის დაბრუნდა! შირერი თამაშში 72-ე წუთზე ჩაერთო, ქეცბაია 7 წუთის შემდეგ შემოვიდა.

„შემცვლელებმა ტრიუმფი მოაწყვეს" — ეს „ინდიპენდენტის" სათაურია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა ქნა ქეცბაიამ.

„შირერი დაბრუნდა, თუმცა შოუს ქეცბაია აწყობს" — წერს „ობზერვერი". ეს მართლაც შოუ იყო. თემურმა გამარჯვების გოლი გაიტანა. მაისური გაიძრო და მაყურებლებში ისროლა. ბუცების გახდასაც აპირებდა, მაგრამ თანაგუნდელმა პისტონემ არ დაანება. ქეცბა არ დაოკებულა, ფეხები სარეკლამო ფარებს დაუშინა. ამ დროს თამაშის 93-ე წუთი მიმდინარეობდა. ამიტომაც წერს „ობზერვერი", ქართველმა გოლის გატანა სასწაულად იზეიმა, მაისური ხალხში ისროლა, ალბათ იმიტომ, რომ მისი ჩაცმა არც დასჭირდებოდა, რადგან მატჩის დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა. ქეცბაიას მეტად აგრესიული გამომეტყველება ჰქონდა. იფიქრებდით, ფეხბურთელს კონფლიქტი აქვს დალგლიშთან, მწვრთნელი ხომ ქართველს, ფაქტობრივად, არც ათამაშებს, მხოლოდ ათი წუთით თუ შეუშვებს ხოლმე მინდორზე, მაგრამ როგორც გაირკვა, ასეთი არაფერი ყოფილაო.

თვითონ დალგლიში გაზეთებში ასე ხსნის ამ სიტუაციას — თემური ემოციური კაცია, გაიხსენეთ ზაგრების გოლი, როცა ქეცბაიამ ჩემპიონთა ლიგაში გაგვიყვანა, იგი ტიროდა. ასე რომ ყველაფერი ნათელი უნდა იყოსო.

„ინდეპენდენტი" იმასაც აღნიშნავს, რომ ქეცბაიას სიხარული, ალბათ, გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბის წიგნაკში გოლის თარიღზე ჩანაწერით. მართლაც ასე აღმოჩნდა. როცა ქეცბას დავუკავშირდით და მომხდარის თაობაზე ვკითხეთ, გვიპასუხა, უბრალოდ, ძალიან გამიხარდა, სულ ათი წუთი ვთამაშობ და ჩემი საქმე გავაკეთე. გუნდმა სამი ქულა მიითვალა. ჩემსა და დალგლიშს შორის არანაირი კონფლიქტი არ არის. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მე მას ვჭირდები. „კრისტალ პალასი" 2 მილიონს სთავაზობდა ჩემს სანაცვლოდ. მე აქ სრულიად უფასოდ ვარ გადმოყვანილი და რას კარგავდნენ, პირიქით, ფულს ჩაიჯიბავდნენ და ხეირსაც ნახავდნენ, მაგრამ „კრისტალ პალასი" დალგლიშმა უარით გაისტუმრაო.

სულ ეს იყო. ქეცბამ „ნიუკასლისთვის" უკვე მეორედ გაიტანა გადამწყვეტი გოლი. ოღონდ პირველს უფრო მეტი ფასი ჰქონდა.

**ზურაბ მეძველია ლონდონიდან**

## ბელგია

მე-18 ტური. სენტ ტრიუდენი — ვესტერლო 0:0; ანდერლეხტი — ანტვერპენი 2:2; ლოკერენი — ლიერსი 4:2; შარლერუა — გენკი 1:2; აალსტი — ბევერენი 3:0; მუსკრონი — სტანდარდი 3:2; ლომელი — ჰარელბეკი 0:0; მოლენბეკი — ეკერენი 0:4; ბრიუგე — გენტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 16 | 2 | 0 | 47:11 | 50 |
| გენკი | 18 | 11 | 3 | 4 | 40:23 | 36 |
| ეკერენი | 18 | 10 | 3 | 5 | 31:21 | 33 |
| ჰარელბეკი | 18 | 8 | 8 | 2 | 33:19 | 32 |
| ლომელი | 18 | 8 | 4 | 6 | 29:24 | 28 |
| ანდერლეხტი | 18 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 28 |
| ლოკერენი | 18 | 9 | 0 | 9 | 36:39 | 27 |
| ლიერსი | 18 | 7 | 4 | 7 | 30:26 | 25 |
| აალსტი | 18 | 7 | 3 | 8 | 31:31 | 24 |
| სტ. ტრიუდენი | 18 | 6 | 6 | 6 | 17:20 | 24 |
| შარლერუა | 18 | 6 | 5 | 7 | 25:33 | 23 |
| გენტი | 18 | 5 | 7 | 6 | 29:28 | 22 |
| ვესტერლო | 18 | 5 | 6 | 7 | 26:34 | 21 |
| მუსკრონი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:25 | 19 |
| სტანდარდი | 18 | 4 | 7 | 7 | 24:27 | 19 |
| მოლენბეკი | 18 | 4 | 2 | 12 | 20:49 | 14 |
| ბევერენი | 18 | 3 | 5 | 10 | 17:31 | 14 |
| ანტვერპენი | 18 | 2 | 3 | 13 | 20:37 | 9 |

## პორტუგალია

მე-17 ტური. აკადემიკა — შავეში 1:2; ვარზიმი — ბელენენსეში 2:1; პორტუ — მარიტიმუ 2:1; ამადორა — სალგეირუში 1:0; კამპომაიორენსე — ბოავიშტა 2:2; სეტუბალი — გიმარაეში 0:0; რიუ ავე — ფარენსე 0:3; ლეცა — ბენფიკა წუხელ გაიმართა; სპორტინგი — ბრაგა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 13 | 4 | 0 | 39:15 | 43 |
| გიმარაეში | 17 | 10 | 2 | 5 | 23:11 | 32 |
| რიუ ავე | 17 | 8 | 4 | 5 | 25:21 | 28 |
| სპორტინგი | 16 | 7 | 6 | 3 | 17:9 | 27 |
| ბენფიკა | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| სალგეირუში | 17 | 6 | 6 | 5 | 21:17 | 24 |
| მარიტიმუ | 17 | 7 | 3 | 7 | 19:19 | 24 |
| კამპომაიორ. | 17 | 6 | 5 | 6 | 24:24 | 23 |
| ამადორა | 17 | 6 | 5 | 6 | 19:21 | 23 |
| ლეცა | 16 | 6 | 4 | 6 | 16:18 | 22 |
| სეტუბალი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:18 | 21 |
| ბრაგა | 16 | 5 | 6 | 5 | 22:23 | 21 |
| ბოავიშტა | 17 | 4 | 8 | 5 | 16:17 | 20 |
| ფარენსე | 17 | 4 | 8 | 5 | 19:22 | 20 |
| ვარზიმი | 17 | 4 | 6 | 7 | 11:24 | 18 |
| აკადემიკა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:18 | 16 |
| შავეში | 17 | 3 | 2 | 12 | 13:28 | 11 |
| ბელენენსეში | 17 | 1 | 6 | 10 | 9:27 | 9 |

## საბერძნეთი

მე-18 ტური. ოფი — ქსანტი 2:1; კავალა — ვერია 0:1; იონიკოსი — აპოლონი 1:1; პანათინაიკოსი — პანიონისი 2:1; პანილიაკოსი — კალამატა 1:1; ირაკლისი — პანახაიკი 3:1; ათინაიკოსი — პრუდეფტიკი 1:0; აეკი — პაოკი 3:0; ეთნიკოსი — ოლიმპიაკოსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 18 | 15 | 2 | 1 | 38:14 | 47 |
| ოლიმპიაკოსი | 17 | 14 | 1 | 2 | 45:14 | 43 |
| პანათინაიკოსი | 18 | 14 | 1 | 3 | 40:12 | 43 |
| პაოკი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:19 | 37 |
| იონიკოსი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:18 | 34 |
| ირაკლისი | 18 | 9 | 4 | 5 | 23:19 | 31 |
| ოფი | 18 | 8 | 3 | 7 | 25:31 | 27 |
| აპოლონი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:20 | 25 |
| ქსანტი | 18 | 7 | 3 | 8 | 32:33 | 24 |
| პანილიაკოსი | 18 | 5 | 6 | 7 | 24:28 | 21 |
| პანიონისი | 18 | 6 | 2 | 10 | 22:25 | 20 |
| პანახაიკი | 18 | 6 | 1 | 11 | 18:32 | 19 |
| ვერია | 18 | 5 | 2 | 11 | 21:32 | 17 |
| ეთნიკოსი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:22 | 16 |
| პრუდეფტიკი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:33 | 16 |
| ათინაიკოსი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:26 | 15 |
| კალამატა | 18 | 3 | 4 | 11 | 10:25 | 13 |
| კავალა | 18 | 2 | 3 | 13 | 20:38 | 9 |

## შოტლანდია

22-ე ტური. ჰიბერნიანი — სენტ ჯონსტონი 0:1; კილმარნოკი — ჰართსი 2:2; რეინჯერსი — მოზერველი 1:0; აბერდინი — დანფერმლაინი და დანდი იუნაიტედი — სელტიკი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 22 | 14 | 6 | 2 | 54:23 | 48 |
| ჰართსი | 22 | 14 | 3 | 5 | 49:30 | 45 |
| სელტიკი | 21 | 13 | 3 | 5 | 37:14 | 42 |
| კილმარნოკი | 22 | 8 | 6 | 8 | 25:37 | 30 |
| სტ. ჯონსტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:29 | 29 |
| დანდი იუნ. | 21 | 6 | 7 | 8 | 31:32 | 25 |
| დანფერმლაინი | 21 | 5 | 6 | 10 | 22:39 | 21 |
| მოზერველი | 22 | 5 | 5 | 12 | 25:38 | 20 |
| აბერდინი | 21 | 4 | 7 | 10 | 21:36 | 19 |
| ჰიბერნიანი | 22 | 4 | 6 | 12 | 26:36 | 18 |

## იტალია

XVI ტური

**ატალანტა 1:1 უდინეზე**

1:0 გალო (9), 1:1 ბირჰოფი (49)

**ბოლონია 1:3 იუვენტუსი**

0:1, 0:2 ინძაგი (9, 19), 0:3 დელ პიერო (59), 1:3 კოლივანოვი (90)

**ფიორენტინა 1:3 ლაციო**

1:0 კოისი (28), 1:1 ბოკშიჩი (31), 1:2 რამბაუდი (78), 1:3 ნედვედი (86)

**ინტერი 0:1 ბარი**

0:1 მასინგა (77)

**ლეჩე 1:3 სამპდორია**

0:1, 0:2 მონტელა (12, 51), 0:3 სინიორი (77), 1:3 მაურიციო როსი (90)

**ნაპოლი 0:3 ბრეშა**

0:1 პირლო (12), 0:2 კოზმინსკი (52), 0:3 დიანა (90)

**რომა 1:1 პიაჩენცა**

1:0 ალდაირი (6), 1:1 რასტელი (86)

**ვიჩენცა 1:0 ემპოლი**

1:0 ლუიზო (88)

**პარმა 3:1 მილანი**

1:0 კიეზა (32), 2:0 დ. ბაჯო (43), 2:1 განცი (71), 3:1 კიეზა (74)

სამხრეთაფრიკელმა მეგოლემ ფილიმონ მასინგამ თავისი გოლით შოკში ჩააგდო ლიგის ლიდერი „ინტერი", რომელმაც ამ გოლის წყალობით „სან სიროზე" წააგო „ბარისთან" 0:1. ეს იყო სერია A-ს გუშინდელი დღის ყველაზე ხმაურიანი ამბავი. მილანელთა მეკარე ჯანლუკა პალიუკამ კი მოიგერია მასინგას თავური, მაგრამ ბურთი ხელში ვერ დაიჭირა და აფრიკელმა იქვე დასაჯა. ეს მაშინ მოხდა, როცა თამაშის დასრულებამდე 13 წუთი რჩებოდა.

მეორე ადგილზე მყოფი „იუვენტუსი" ხმამაღლა გაეპასუხა ლიგის ლიდერის სეზონში მეორე მარცხს. „იუვემ" 3:1 მოუგო ბოლონიას ფილიპო ინძაგის წყვილი გოლის და ალესანდრო დელ პიეროს საუცხოოდ შესრულებული საჯარიმოს დარტყმის წყალობით.

შარშანდელ ჩემპიონებს ახლა 18 შეხვედრიდან 35 ქულა აქვთ და ქულით ჩამორჩებიან ლიდერს. ოთხი ქულით უკანაა მესამეზე მდგომი „უდინეზე", რომელმაც ოლივერ ბირჰოფის გოლით 1:0 აჯობა ათკაციან „ატალანტას". ბერგამოელებს კი ზედიზედ ცხრა ტური იყო, არ წაეგოთ.

„ლაციომ" 3:1 მოუგო „ფიორენტინას", რომელსაც ათტურიანი წაუგებელი სერია. რომაელებმა მეოთხე პოზიცია დაიჭირეს ცხრილში.

ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრაში „პარმამ" ბოლო ხანებში დაუმარცხებელ „მილანს" სძლია. გამარჯვება მასპინძლებმა ძირითადად ენრიკო კიეზას ძლიერი თამაშის გამო მოიპოვეს, რომელიც კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილიას კლუბში შესაძლო დაბრუნებამ ძლიერ შეაფუცხუნა. სწორედ მან შეაგდო პირველი გოლი, რომელმაც განაპირობა კიდეც მატჩის მათ სასარგებლოდ დასრულება. ტაიმის შუაში კი დინო ბაჯომ მეტად ლამაზი გოლი გაიტანა, როცა მილანელთა მეკარის მასიმო ტაიბის მიერ დაკარგული ბურთის უკუნახტომით მარცხენა მაღალ კუთხეში მიუჩინა ადგილი.

მეორე ნახევარში მილანელთა ახალწვეულმა მაურიციო განცმა ერთი გაქვითა, თუმცა იმავე კიეზამ სტატუს ქვო აღადგინა — მისი დარტყმული ზუსტი გამოდგა. ეს 1990 წლის შემდეგ „მილანის" პირველი დამარცხება იყო პარმაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 31:14 | 36 |
| იუვენტუსი | 16 | 10 | 5 | 1 | 36:13 | 35 |
| უდინეზე | 16 | 9 | 4 | 3 | 30:25 | 31 |
| პარმა | 16 | 8 | 5 | 3 | 30:17 | 29 |
| ლაციო | 16 | 8 | 4 | 4 | 29:15 | 28 |
| სამპდორია | 16 | 7 | 5 | 4 | 33:29 | 26 |
| რომა | 16 | 6 | 7 | 3 | 26:17 | 25 |
| ფიორენტინა | 16 | 6 | 6 | 4 | 34:20 | 24 |
| მილანი | 16 | 6 | 6 | 4 | 20:16 | 24 |
| ვიჩენცა | 16 | 6 | 3 | 7 | 19:30 | 21 |
| ბარი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:23 | 19 |
| ბრეშა | 16 | 5 | 2 | 9 | 22:27 | 17 |
| ბოლონია | 16 | 3 | 7 | 6 | 23:26 | 16 |
| ემპოლი | 16 | 4 | 3 | 9 | 21:29 | 15 |
| პიაჩენცა | 16 | 2 | 8 | 6 | 13:21 | 14 |
| ატალანტა | 16 | 3 | 5 | 8 | 15:26 | 14 |
| ლეჩე | 16 | 3 | 2 | 11 | 13:33 | 11 |
| ნაპოლი | 16 | 1 | 3 | 12 | 13:40 | 6 |

### სერია B

მე-18 ტური. ტორინო — პერუჯა 0:0; კალიარი — ანკონა 3:0; ფანრია — ვენეცია 1:1; ფოჯა — სალერნიტანა 2:0; ჯენოა — რავენა 1:0; მონცა — რეჯანა 0:0; პესკარა — კიევო 3:1; რეჯინა — პადოვა 3:0; ტრევიზო — ლუკეზე 3:0; ვერონა — დი სანგრო 0:0

# სტრასბური წამოაქციეს.

## საფრანგეთი

თასის გათამაშება

კაენი (II) — ტულუზი 1:0, ლე მანსი (II) — მეცი 1:1 (პენალტებით 2:4), სენ დენი (III) — ლიონი 0:2, ბასტია — ნიორი (II) 1:0, ეპინალი (III) — სტრასბური 2:1, დიჟონი (IV) — მონაკო 1:2, ობერვილერსი (IV) — ბორდო 1:7, ტუარი (III) — შატ 1:3, ბრეტინოლი (VI) — ნანტი 0:3, სეგრი (IV) — ოსერი 1:2, ლანსი — ლე ავრი 2:1, კანი — ვალანსი (II) 2:0, სეტი (IV) — მარსელი 0:3, ტულონი (II) — ნიცა 4:2, ვიტრი (IV) — ლორიენი (II) 0:4, შამპანოლი (VI) — მულჰუსი 0:2, ლავალი (II) — ანგულემი (III) 1:3, პო (IV) — ფონტენეი 0:0 (პომ პენალტებით მოიგო), რუანი (II) — ნანსი (II) 0:1, კარკუფუ (V) — ვასკუელი (II) 0:2, სედანი (III) — ლუანი (II) 3:1, ბულონი (IV) — სენ ლო (IV) 2:0, შატელერო (IV) — სოშო (II) 1:2, ალე (III) — ორიაკი (III) 3:0, სენ ჟანი (VI) — ბუვე (II) 2:3, მურე (IV) — ტრეისაკი (IV) 4:3, რენი — შატორუ 1:0, ლე გრუ (V) — ისტრი (III) 0:0 (ისტრმა პენალტებით მოიგო), ჟორმელი (V) — არჟენტანი (V) 0:2, ტიონვილი (V) — გინგამი 1:5

საფრანგეთში ქვეყნის თასის გათამაშება დაიწყო და გვარიანი ოფლიც დაიღვარა, იმიტომ, რომ თასი კალენდარული ჩემპიონატი არ გახლავთ და აქ ისეთი ვინმე გამოაჩენს ხოლმე ეშვებს, რომელსაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში არაფრად ჩააგდებდნენ. თანაც, პატარა იმგვარად ეტოქება დიდს, რომ ამ დიდს თმები ყალყზე უდგას.

კინაღამ ის არ მოხდა, რომ ჟან ტიგანას „მონაკომ" პირველივე წრეში დაიხურა ქუდი. მონეგესკთა გუნდი რომ კრიზისშია, საიდუმლო აღარ არის, კლუბმა ბოლო სამი თამაში ერთი ამოსუნთქვით წააგო და მწვრთნელსაც ათქმევინა, უფსკრულს ვუახლოვდებით, გონს თუ არ მოვეგეთ, ამდენი ნაჯაფარი წყალში ჩაგვეყრებაო. ამის მიუხედავად, ნათქვამია, აქლემი ისე არ წაიქცევა, ვირისა ვერ ზიდოსო. „მონაკოც" ამ განწყობით ჩავიდა დიჟონში, სადაც IV დივიზიონის ადგილობრივი გუნდი ელოდა. ელოდა და კაი ტურაც დააჭერინა — „დიჟონმა" დამატებით დროს მიაღწია. იქაურმა ფრანკ რემუსენემ 78-ე წუთზე გაქვითა სილვენ ლევენსკის ბურთი და რომ არა დამატებითის მე-7 წუთზე მონაკოელთა ბოსნიელი მცველის მუჰამედ კოჯნიჩის ვაჟკაცური გოლი, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. ასე კი, 2:1 და „მონაკო" შემდეგ წრეშია.

მაგრამ ის, რაც შეძლო „მონაკომ", ვერ შეძლო „სტრასბურმა". მიუხედავად იმისა, რომ „სტრასბურმა" მოუგო „გლაზგო რეინჯერსს", „ლივერპულს" და „ინტერს", „სტრასბურს" მოუგო III დივიზიონის „ეპინალმა". ეპინალში ჩასული სტრასბურელებისთვის შედეგის ავი ნიშნები ჯერ კიდევ თამაშის 16-ე წუთზე გამოისახა, როცა სტუმრებს მცველი ჟან ლუკ დოგონი გაუძევეს. თუმცა, ჟერალ ბატიკლმა მაინც გახსნა ანგარიში და გუნდს გული საგულეს ჩაუყენა, მაგრამ მასპინძელთა კონდიმ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ბოლო წუთზე ვისეკის გოლმა „ეპნალს" მოაგებინა 2:1. სეგრში გაჭირვებით მოიგო „ოსერმა", რომელსაც IV დივიზიონი „სეგრმა" ალერევინა ოფლი. პირველი 20 წუთის შემდეგ სეგრელი მოყვარულები იგებდნენ კიდეც. მაგრამ მხოლოდ ორ წუთს: ჯერ ტიერი მარშანმა გაათანაბრა, შემდეგ კი სტეფან გივარშმა მოათავა საქმე — 2:1.

ამასობაში „ტულუზს" II დივიზიონის „კაენმა" აჯობა 1:0, „ლე ავრი" კი „ლენსმა" დაამარცხა — 2:1.

ვისაც პრობლემა არ ჰქონია, „ბორდო" იყო. ჟირონდელებმა 7:1 მოუგეს IV დივიზიონისავე „ობერვილერსს". სილვენ ვილფორდმა 4 გოლი შეაგდო, ჟან პიერ პაპენმა კი ჰეთთრიქი შეასრულა.

სამაგიეროდ, პრობლემა ჰქონდა საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „მეცს". II დივიზიონის „ლე მანსმა" უმძიმესი გამოცდა გაუმართა გაყოყოჩებულ მეცელებს. ძირითადი დრო უგოლოდ დასრულდა და მანსელმა სტეფან ბულილამ დამატებითის პირველსავე წუთზე გახსნა ანგარიში. ამ გრძელი დავის გასრულებამდე ათი წუთიღა რჩებოდა, როცა ბრუნო როდრიგესმა საქმე პენალტებამდე მიიყვანა. პენალტების სერიაში კი მეცელთა გამოცდილებამ თავისი ქნა და მათმა მეკარემ ბრუნო ლეტიზიმ ორი ბურთი მოიგერია, რითაც გუნდი შემდეგ წრეში გაიყვანა.

## ესპანეთი

XXI ტური

**სელტა 1:0 ესპანიოლი**

1:0 ხუან სანჩესი (30)

**კომპოსტელა 3:0 მერიდა**

1:0 ფაბიანო (41), 2:0 პენევი (69), 3:0 ტაბუენკა (82)

**ოვიედო 3:0 სარაგოსა**

1:0 პომპეი (8), 2:0 დუბოვსკი (42), 3:0 პომპეი (62პ)

**ბილბაო 0:0 ბეტისი**

**ვალიადოლიდი 2:1 ატლეტიკო**

1:0 სანტი (3ხ.კ.), 1:1 კიკო (34), 2:1 პეტერნაჩი (60პ)

**რეალი 1:0 სალამანკა**

1:0 პანუჩი (21)

**რასინგი 3:1 სოსიედადი**

1:0 ბესჩასნიხი (12), 2:0 ნელსონი (20), 2:1 კოვაჩევიჩი (85), 3:1 კორეა (88)

**მალიორკა 0:0 დეპორტივო**

**ტენერიფე 2:1 სპორტინგი**

1:0 დომინგუში (68), 2:0 მაკაი (83), 2:1 კანო (88)

**ბარსელონა — ვალენსია**

დღეს გაიმართება

შაბათს გვარიანად შეირყა მადრიდის „ატლეტიკოს" საჩემპიონო იმედები. ტანჯულმა „ვალიადოლიდმა" 2:1 მოუგო რადომირ ანტიჩის გუნდს. „ვალიადოლიდი" თავიდანვე იგებდა და კიკომ გაათანაბრა ანგარიში. მანამდე კი სანტის ავტოგოლმა მასპინძლები დააწინაურა.

ამ მარცხის შემდეგ ატლეტიკო მეხუთე ადგილზე დარჩა თავისი 34 ქულით და კიდევ უფრო ჩამორჩა ლიდერებს. „ვალიადოლიდში" კი გადამწყვეტი სიტყვა პენალტის ნიშნულიდან ითქვა. ალენ პეტერნაჩმა ვიქტორის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

„ეს არ იყო პენალტი — თქვა მადრიდელმა მცველმა ხელიმ — ჩვენ ბურთისკენ გავიქეცით, მე მივასწარი, ვიქტორი კი წაიქცა."

„სელტამ" მშვენიერი წარმოდგენა გაუმართა „ესპანიოლს", თუმცაღა, ერთადერთი გოლით, ხუან სანჩესის მოხდენილი თავურით მოიგო 1:0. ებრაელმა ხაიმ რევივომ და რუსმა ვალერი კარპინმა ხომ საერთოდ დატანჯეს კატალონიელები. ამათი თამაშით, ხუმრობს ესპანური მედია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა „ბარსელონას" დირექტორ ბობი რობსონზე, რომელიც გათამაშებას ესწრებოდა და „ბარსასთვის" ახალწვეულებს არჩევდაო.

შაბათის მესამე მატჩში „ოვიედომ" 3:0 მოუგო „სარაგოსას". ორი გოლი პომპეიმ შეაგდო.

„რეალმა" პირველი ადგილი დაიბრუნა, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით. მადრიდელთა მთავარი კონკურენტი „ბარსელონა" დღეს თამაშობს და თუ იმარჯვა, დაუძინებელ მტერს ქულით გადაასწრებს, თან თამაშით ნაკლები ექნება.

რაც შეეხება „რეალის" მატჩს „სალამანკასთან", ფავორიტებს მეტოქის ძლევა აშკარად გაუჭირდათ, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, „რეალმა" დიდი გარჯის შემდეგ მატჩი თავისდასასიკეთოდ დაასრულა.

მესამე ადგილზე მყოფი სოსიედადის „რეალი", აქამდე ჩემპიონატის 18 მატჩი რომ არ წაეგო, სანტანდერში „რასინგთან" დამარცხდა. ბილბაოს „ატლეტიკმა", რომელიც „სოსიედადს" მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება, საკმაოდ ძლიერ „ბეტისთან" უგოლო ფრე ითამაშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 21 | 12 | 7 | 2 | 36:18 | 43 |
| ბარსელონა | 19 | 13 | 2 | 4 | 43:26 | 41 |
| სოსიედადი | 21 | 9 | 9 | 3 | 29:17 | 36 |
| ბილბაო | 21 | 9 | 9 | 3 | 30:21 | 36 |
| ატლეტიკო | 21 | 9 | 7 | 5 | 43:28 | 34 |
| სელტა | 21 | 10 | 4 | 7 | 31:25 | 34 |
| ესპანიოლი | 21 | 8 | 8 | 5 | 27:15 | 32 |
| ბეტისი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:25 | 30 |
| მალიორკა | 21 | 7 | 8 | 6 | 26:18 | 29 |
| სარაგოსა | 21 | 7 | 7 | 7 | 30:37 | 28 |
| რასინგი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:25 | 27 |
| ოვიედო | 21 | 6 | 9 | 6 | 23:26 | 27 |
| დეპორტივო | 21 | 4 | 11 | 6 | 20:23 | 23 |
| კომპოსტელა | 21 | 5 | 8 | 8 | 28:34 | 23 |
| ვალიადოლიდი | 20 | 6 | 5 | 9 | 19:28 | 23 |
| მერიდა | 21 | 6 | 5 | 10 | 19:31 | 23 |
| ვალენსია | 20 | 6 | 4 | 10 | 21:25 | 22 |
| სალამანკა | 21 | 5 | 6 | 10 | 17:25 | 21 |
| ტენერიფე | 21 | 5 | 6 | 10 | 18:32 | 21 |
| სპორტინგი | 21 | 0 | 3 | 18 | 17:48 | 3 |

### მეორე დივიზიონი

23-ე ტური. ნუმანსია — რაიო 0:1; ვრკულესი — ვილიარეალი 2:1; ოსასუნა — ტოლედო 1:1; ლევანტე — ალბასეტე 1:3; ალავესი — ებარი 1:0; ლეგანესი — ლას პალმასი 0:0; ატლეტიკო B — ლეიდა 3:1; სევილია — ორენსე 1:0; ლოგრონიესი — ხაენი 1:2; ბადახოსი — სერესი 0:0; ესტრემადურა — ელჩე 3:2

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანურმა** გაზეთმა „ელ მუნდო დეპორტივომ" გაავრცელა ამბავი იმის თაობაზე, რომ „ბარსელონას" მწვრთნელ ლუის ვან გაალს ჰოლანდიის ნაკრების მესაჭეობა შესთავაზეს. ამ ამბავს თუ ვერწმუნებით, ვან გაალს უარი შეუთვლია, არც ახლა და არც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამ საკითხის განხილვას არ ვაპირებო. ჰოლანდიელთა ახლანდელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადადგომას აპირებს და, ცხადია, შემცვლელს ეძებენ. კატალონიის დედაქალაქში კი კვლავ ინტრიგა იხლართება: გულშემატკივართა გავლენიანი კლუბი „ლურჯი სპილო" ხოსე ლუის ნუნიესის „ბარსელონას" პრეზიდენტობიდან გადაყენებისთვის იბრძვის. ამ ჯგუფს კი იოჰან კრუიფი, „ბარსელონას" ქომაგთა საყვარელი მწვრთნელი უმაგრებს ზურგს. ვან გაალი ნუნიესს უჭერს მხარს, მისი სამწვრთნელო კონტრაქტი „2+2" პირობითაა შედგენილი და ამიტომ ახალ მწვრთნელს ნუნიესთან ურთიერთობა უჯობს, მით უმეტეს, რომ ვან გაალს აწყობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული „კარგი ხელფასი" და ნოუ კამპზე დიდხანს დარჩენას აპირებს. კრუიფი ღიად ლანძღავს ვან გაალს: „ეგ გუშინ ჩამობრძანდა და ჯობია, ენას მოუკლოს. ოცდახუთი წელიწადია აქა ვარ და ასჯერ მეტის თქმის უფლება მაქვს. მაგ კაცს კი უჯობს გუნდს მიხედოს და ორი სიტყვა ესპანური მაინც ისწავლოს."

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცმა გრემ კელიმ გამოაცხადა, რომ რახან „უემბლი" სარემონტოდ დაიკეტება, ინგლისის ასოციაციის თასის 2000 და 2001 წლის ფინალური თამაშები მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართება. კელიმ ისიც დაურთო, რომ ალისფერთა საშინაო მინდორი ყველაზე მორგებულ ადგილად უჩანს სანაკრებო მატჩებისთვისაც. „ჩვენ სამხრეთ აფრიკას ვუმასპინძლეთ „ოლდ ტრეფორდზე" და ცხადი შეიქნა, რომ სტადიონს შეუძლია დიდი საერთაშორისო მატჩების მასპინძლობა." უემბლი 1999 წლიდან დაიკეტება, კელის ლაპარაკმა კი ბოლო მოუღო ჭორებს იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელები თვიქნემში, ინგლისური რაგბის მექაში გადასულიყვნენ და 75-ათასიანი ტრიბუნების თვალწინ ეთამაშათ. მაგრამ კელიმ უსაფრთხოების თანამედროვე სისტემების უქონლობა დაუწუნა თვიქნემს და ისიც დაურთო, არც კი ვიცი, რაგბის კავშირს მოეწონება ჩვენი თვიქნემისკენ ლტოლვა თუ არაო. „ოლდ ტრეფორდი" კი, მართალია, მხოლოდ 55 ათასს იტევს, მაგრამ უპირატესად საფეხბურთო ალაგია და თასის ერთი ფინალისა** (1915) და ორი გადათამაშებისთვისაც (1941, 1970) უმასპინძლია.

**ავსტრალიელთა** მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა ინგლისურ მედიას შეუთვალა, ამ უკანასკნელს ხომ მის ბიზნესში ქექვა დაუწყია, აბა, რამდენად ალალია ჩვენი ყოფილი მენეჯერიო. ეს ამბავი კი იმან გამოიწვია, რომ ბრიტანეთის ვაჭრობის და ინდუსტრიის დეპარტამენტმა მას კომპანიის დირექტორობა აუკრძალა. ვენეიბლზის თქმით, ეს იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ბიზნესის საქმეებში უთანხმოება მოსვლია და საქმოსნური ეშმაკობა არაფერ შუაშია. „პრესა რომ მიუშვა, ცოცხლად შეგჭამს" — განმარტა ვენეიბლზმა, რომელიც გასულ კვირაში კიდევ ერთ თანამდებობას, I დივიზიონის მაჩანჩალა „პორტსმუტის" დირექტორობას ჩამოაშორეს. ერთადერთი, რაც მინდა, ავსტრალიელთა თავკაცობაა და იმ კვირაში კიდეც გავფრინდები მწვანე კონტინენტზეო, უთქვამს ტერის.

**აფრიკის თასის წინარე თამაშებში ზამბიელებმა 2:0 მოუგეს გამბიელებს. გოლები მოზეს სიჩონგმა (13) და ენდრიუ ტემბომ (65) გაიტანეს.**

**არგენტინელმა** ნახევარმცველმა როდოლფო კარდოსომ განაცხადა, რომ მალე მიატოვებს გერმანულ „ჰამბურგს" და სამშობლოში დაბრუნდება, სადაც „ბოკა ხუნიორსის" მაისურს მოირგებს. 29 წლის კარდოსო სეზონის ბოლომდე იქნება „ბოკაში", მისი ტრანსფერი კი 218 ათას დოლარს მოიცავს. ისიც უნდა ითქვას, რომ კარდოსომ ვერადავერ აღიდგინა ფორმა და 1996 წელს „ვერდერიდან" „ჰამბურგში" გადმოსული, დუბლიორად იქცა.

**იუგოსლავური ვოევოდინის „ნოვი სადის" მთავარი მეგოლე დამირ სტოიაკი ხორვატული ფეხბურთის ლიდერ ზაგრების „კროაციაში" აპირებს გადასვლას. ასეთი რამ ომითა და პოლიტიკით ტანჯულ ბალკანეთში ჯერ არ მომხდარა — გუშინდელი მოსისხლე მტრები დღეს ერთმანეთს უკავშირდებიან. ვოევოდინელთა დირექტორი სვეტოზარ საპურიჩი „კროაციელთა" რეკაციან დელეგაციას შეხვდა და საქმის გაჩარხვასაც დაჰყაბულდა. თავად სტოიაკი კი ამჟამად მალტაზეა და „ნოვი სადთან" ერთად ზამთრის შეკრებას გადის. როგორც თქვა, პირველად ესმის ამგვარი მოლაპარაკების შესახებ.**

**ესპანეთში** გრძელდება დავა მადრიდის „რეალსა" და „დეპორტივოს" შორის. დავის საგანი ერთია, ბრაზილიელი როდრიგუ, რომელსაც, როგორც მისი ბრაზილიური ქცევებით ირკვევა, ორივე კლუბში ნდომებია თამაში და ორმაგი კონტრაქტის პოლიტიკას დადგომია. „დეპორტივოს" უფროსობის ცნობით, ახლა როდრიგუს საქმის გამრიგე მხოლოდ ფიფაა და ისავე გასცემს პასუხს, თუ სად ითამაშებს უცნაური ბრაზილიელი. გასულ თვეში „რეალმა" „ფლამენგოსგან" შეიძინა როდრიგუ, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ბრაზილიელი „დეპორტივოში" ყოფილა რეგისტრირებული, როგორც სატრანსფერო კაცი.

# გრესი მოვიდა, გროსი აღარავის ახსოვს

შვეიცარიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა ჟილბერ გრესი. იქაური ასოციაციის თავკაცებმა ამის შესახებ ამ უქმეების წინ გამოაცხადეს.

გრესის ხელშეკრულება ორწელიწადნახევრიანია და წელიწადში 367 ათასდოლარიან ხელფასს გულისხმობს. შვეიცარიაში კარგახანს ბჭობდნენ ახალი მწვრთნელის ასარჩევად, ლონდონშიც კი აფრინეს წერილი კრისტიან გროსთან, მაგრამ ამან იქაურობა არ მიატოვა და ბოლოს ისევ გრესს შეუჩნდნენ. გრესი კი, წარსულში საკმაოდ ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ამბობდა, სეზონის ბოლომდე ვერასგზით მივატოვებ სატურნიროო გაჭირვებაში ჩავარდნილ „ქსამაქსს", რომელსაც აგერ უკვე 15 წელიწადია ვთავკაცობო.

ეს საქმე იმით მოგვარდა, რომ სეზონის ბოლომდე გრესი „ქსამაქსსაც" უხელმძღვანელებს და ნაკრების საქმესაც ნელ-ნელა მიხედავს. უკვე გამოცხადდა მისი სადებიუტო თამაშის თარიღიც — 23 მარტს შვეიცარიელები ბერნში უმასპინძლებენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვარჯიშე ინგლისელებს. ესეც არ იყოს და, გრესი გუშინ გენტში იმყოფებოდა საწილისყრო ცერემონიალზე.

ახალი შესარჩევი ციკლი ახალი ალზევების ხანადაა დასახული შვეიცარიაში. ასოციაციის თავკაცებს სწყურიათ, რომ გრესმა ბოლო ორი წლის წინანდელი ჩავარდნა დაავიწყოს ქვეყანას და როი ჰოჯსონის მიღწევა გაიმეოროს. ამ ინგლისელმა ხომ ევრო-96-ის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა ვილჰელმ ტელის შთამომავლები.

ფეხბურთის მამებმა პარასკევს წარუდგინეს მედიას ახალი მწვრთნელი, რომელიც ფრანგულ-გერმანული წინადადებების ხშირი ცვლით პასუხობდა კითხვებს. 56 წლის გრესი, რომელიც ძველ დროში „მარსელში", „სტრასბურსა" და „შტუტგარტში" თამაშობდა, განუწყვეტლივ იმეორებდა, მოვიდა დრო რაღაც ახლის გაკეთებისაო.

ალპურ ქვეყანაში საწვრთნელო სახელი გრესს „ქსამაქსის" აღზევებამ მოუტანა. მის ხელში გუნდი 1987 და 1988 წლებში ზედიზედ გახდა ჩემპიონი. ზუსტად წლის წინ კი გრესმა ფრანგული ტიტული მოაგებინა „სტრასბურს".

ამ კაცს, რომელმაც ნაკრების ხანმოკლე მმართველები არტურ ჟორჟე და როლფ ფრინგერი შეცვალა, მძიმე ამოცანა აქვს. ჰოჯსონის ხელში ნაკრები მეათე იყო ფიფას სარეიტინგო სიაში, ახლა კი მეშვიდე ათეულის შუაშია გაჩხერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცების ბადე



პიტ სამპრასი

1/32 – 1/16 – 1/8 – 1/4 – 1/2

- სამპრასი (1) - შალკენი
- მარტინი - სანგვინეტი
- გუსტაფსონი - შერჩეული
- დოსედელი - ბიოჩი
- კლავეტი - შერჩეული
- ვაცეკი - ვაშინგტონი
- დრეეკმანი - არაზი
- კალატრავა - ფილიპუსისი(15)
- ბრუგერა (10) - კუჩერა
- ვაცეკი - ჰიუიტი
- შალერი - ნესტორი
- დამი - ვუდფორდი
- ტილსტრომი - პაესი
- შერჩეული - ნორმანი
- ფრომბერგი - ლარკჰემი
- ტრამაჩი - მოია (7)
- ბიორკმანი (4) - ბელობრივიჩი
- ფერერა - კროსლაკი
- ლაპენტი - ვილოკა
- ალვარესი - სანტორო
- გიმელსტობი - შერჩეული
- შერჩეული - ობრაიენი
- კლემანი - პოცი
- ბ.ბლექი - მანტია (14)
- კორეჩა (11) - არნოლდი
- პრინოშილი - ჰერკი
- მელიგენი - პიოლინი
- სარგსიანი - ბურილიო
- შერჩეული - როსე
- სპედეა - სტასიაკი
- დრეიპერი - ჰრბატი
- პორტასი - კორდა (6)
- რუზეცკი (5) - შერჩეული
- სტარკი - კოსტა
- ვუდბრიჯი - დევულფი
- რუუდი - შერჩეული
- იოჰანსონი - სკილარი
- ონდრუშკა - რენებერგი
- ესკუდე - ლარსონი
- შერჩეული - კრტენი (12)
- ივანიშევიჩი (13) - სიმერინკი
- შერჩეული - ჰენმანი
- კრაკა - შერჩეული
- კიფერი - შერჩეული
- ტებუტი - ფილიპინი
- ბლექი - სტივენი
- რაუქსი - სტოლი
- კარლსენი - ჩანგი (3)
- მუსტერი (8) - შერჩეული
- ნიდალი - რუ
- რადულესკუ - ალამი
- ფურლანი - ალონსო
- სტოლტენბერგი - ბლანკო
- შერჩეული - ნიპშილდი
- ენკვისტი - მარინი
- სტაფორდი - რიოსი (9)
- კოსტა (16) - ჰაასი
- შერჩეული - აგასი
- გროსი - გელნერი
- გაუდენცი - პესკარიუ
- ბერასატეგი - შერჩეული
- სმიტი - მედვედევი
- სანჩესი - მარტინი
- ტარანგო - რაფტერი (2)

# AUSTRALIAN OPEN '98

**დღეს ავსტრალიაში, მელბურნის „მელბურნპარკში" წლის ოთხი ბოლოლა საჩოგბურთო ტურნირიდან პირველი — ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. ჩემპიონობისა და გვარიანი თანხების მაძიებელთ ორი კვირის განმავლობაში 40-გრადუსიან სიცხეში მოუხდებათ ოფლის ღვრა. სამაგიეროდ, დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული ჩოგბურთის ისტორიაში დაიმკვიდრებს ადგილს.**



ავსტრალიის ღია პირველობის ისტორია 1905 წლიდან იწყება. მაშინ მას ავსტრალაზიის ჩემპიონატი ეწოდებოდა და მელბურნის კრიკეტის სტადიონზე იმართებოდა. 1927 წელს სახელწოდებას აზია ჩამოაშორეს და ავსტრალიის ჩემპიონატად გადააკეთეს, 1969 წლიდან კი მას დღევანდელი სახე მიეცა. მიუხედავად ამისა, დიდი სლემის პირველი ტურნირის ჩატარება მელბურნს მხოლოდ 1972-ში დაუბევს, როდესაც გადაწყდა, რომ აქ მას ყველაზე მეტი მაყურებელი ეყოლებოდა. მანამდე ტურნირი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, სიდნეიში, ადელაიდაში, ბრისბენში, პერტში იმართებოდა დროგამოშვებით, ორჯერ კი — 1906 და 1912-ში ახალ ზელანდიასაც კი ეწვია. მელბურნში პირველობა თავიდან კუიონგის პატარა საჩოგბურთო ცენტრში ტარდებოდა რის გამოც ავსტრალიელები ერთხანს დააშინეს, ტურნირს დიდი სლემის სტატუსს ჩამოვართმევთო. ესენიც შეფუცხუნდნენ და 1986-88 წლებში ლამის ნახევარ მილიარდად ღირებული ულტრათანამედროვე სპორტული კომპლექსი — „ფლინდერს პარკი" ააშენეს. 1996 წლის 29 იანვარს კი მორიგი განახლების შემდეგ „ფლინდერსპარკი" „მელბურნპარკად" გადააკეთეს. ამჟამად კომპლექსის ცენტრალურ კორტზე, რომელსაც ორგანიზატორთა საამაყო მოძრავი სახურავი ამშვენებს, 15 ათასი კაცი ეტევა, პირველ კორტზე — 6 ათასი, გარდა ამისა, „მელბურნპარკს" კიდევ 22 კორტი აქვს.

კარგა ხნის განმავლობაში ავსტრალიის პირველობაზე ძირითადად მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები იმარჯვებდნენ. მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მასპინძლებს არც ერთხელ აღარ გაუხარიათ. ერთეულებში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ქალებს შორის მსოფლიოს ახლანდელი პირველი ჩოგანი — მარტინა ჰინგისია, რომელმაც 1997-ში ტიტული 16 წლისა და 3 თვისამ მოიპოვა. კაცებში კი უმრწემესი გამარჯვებული ლეგენდარული კენ როუზუოლია, რომელიც 1953-ში 18 წლისა და 2 თვის ასაკში გაჩემპიონდა. იგივე როუზუოლი ამშვენებს ყველაზე ბებერი გამარჯვებულის გრაფასაც. 1972-ში იგი უკვე 37 წლისა გახლდათ. ქალებში კი მსგავსი მიღწევა ტელმა ლონგს ეკუთვნის — 35 წელი და 8 თვე 1954-ში.

ზედიზედ გამარჯვებების მიხედვით კაცებში როი ემერსონი პირველობს, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე 1963-67 წლებში ბატონობდა, ქალებში კი ლეგენდარული მარგარეტ სმიტი, რომლის ანგარიშზე 7 ტიტულია 1960-1966-ში. სხვათა შორის, სმიტს მხოლოდ აქ 21 დიდი სლემის ტიტული მიუთვლია — 11 ერთეულებში, 8 წყვილებში და სამიც შერეულ წყვილებში. უიღბლოთა სიას კი ჯონ ბრომვიჩი და ესმა ბოიდი უდგანან სათავეში, რომელთაც ფინალში დამარცხება შესაბამისად 5-ჯერ და 6-ჯერ მოუხერხებიათ.

ყველაზე გრძელი მატჩი გეიმების რაოდენობის მიხედვით (93) 1970 წლის მეოთხედფინალში — დენი რელსონსა და ჯონ ნიუკომბს შორის შედგა, რომლის ანგარიშია 19:17, 10:18, 4:6, 6:3 პირველის სასარგებლოდ. ყველაზე მეტი დრო კი — 5 საათი და 11 წუთი, კორტზე ბორის ბეკერსა და ომარ კამპორეზეს დაუყვიათ. 1991 წლის მესამე წრის მატჩში, რომელიც დიდმა გერმანელმა 7:6, 7:6, 0:6, 4:6, 14:12 მოიგო. მერე ბეკერმა ფინალში გაცილებით იოლად ივან ლენდლი დაამარცხა და პირველად კარიერაში მსოფლიოს პირველი ჩოგანიც გახდა.

წლეულს ნახევრად პენსიონერი გერმანელი, რომელმაც ავსტრალიაში კიდევ ერთი გამარჯვება 1996-ში იზეიმა, მელბურნს არ ეწვევა, ისევე როგორც ჩემპიონობის რამდენიმე სხვა პრეტენდენტიც. განსაკუთრებით დიდი დანაკარგები ქალთა პირველობამ განიცადა — გასული წლის უიმბლდონის ფინალისტმა და მსოფლიოს ახლანდელმა მეორე ჩოგანმა — ჩეხმა იანა ნოვოტნამ გასული სეზონის ბოლოსვე განაცხადა, რომ ავსტრალიაში გამგზავრებას არ აპირებდა. შუა დეკემბერში ჩემპიონობის მაძიებელთა რიგებს ტრავმის გამო ამერიკელი მერი ჯო ფერნანდესიც გამოაკლდა. ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ მელბურნში კორტებს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი — შტეფი გრაფი უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო შეებულება ისევ გაიგრძელა და ახლა კი ავსტრალიასაც უგანა. სულ ბოლოს კი ტურნირის ორგანიზატორები ოთხგზის ჩემპიონმა და მწვანე კონტინენტზე სულაც დაუმარცხებელმა მონიკა სელეშმა დაალალატა, თანაც ბუნდოვანი საოჯახო პირობების გამო.

კაცებში ჩემპიონატს მხოლოდ ორი პრეტენდენტი დააკლდება. რუს ევგენი კაფელნიკოვს ახალი წლის აღსანიშნავ ზეიმზე ჰამბურგში მაშხალის ნატეხები მოხვედრია, ყატარში ტურნირზე კი სახეზე იარას მუხლის ტრავმაც დაემატა. სხვათა შორის, სოჭელმა ქენიამ ვარჯიშზე ტუტუცურად მოტეხილი თითის გამო შარშანდელი ოუფენიც გამოტოვა. არ იასპარეზებს მელბურნში 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონი რიჩარდ კრაიჩეკიც, რომელმაც მუხლის ტრავმა ჯერ კიდევ ნოემბერში მიიღო.

წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობას რამდენიმე ფავორიტი მაინც შერჩა. ბებრების არყოფნაში, ალბათ, ისევ მარტინა ჰინგისი გაილაღებს, რომელსაც სერიოზული მეტოქე მეოთხედფინალამდე არც ეყოლება. ბევრს მოელიან ახალი თაობის სხვა წარმომადგენლებისგან — რუსი ანა კურნიკოვა, ხორვატი მირიანა ლუჩიჩი და, რაღა თქმა უნდა, დები უილიამსები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. გამარჯვებისთვის იბრძოლებს აგრეთვე მეორედ განთესილი ძონძროხა ლინდსი დევენპორტი, რომელიც ჯერჯერობით დიდი სლემის ტურნირებზე ნახევარფინალს არ გასცდენია. შესანიშნავ ფორმაში იმყოფება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ესპანელი არანჩა სანჩეს ვიკარიოც, რომელმაც გასულ კვირაში სიდნეის პრესტიჟული ტურნირი მოიგო, მანამდე კი ჰოფმანის თასზე — ყველა პირადი შეხვედრა. კარგ ფორმაშია შარშანდელი ფინალისტი, აქ მეხუთედ განთესილი ფრანგი მარი პირსიც.

კაცებს შორის გამარჯვების უპირველესი პრეტენდენტი „მისტერ ტენისი" — ამერიკელი პიტ სამპრასია, თუმცა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ქუსლის დაზიანების შემდეგ დევისის თასის ფინალში, როგორც ჩანს, ფორმა სრულად ვერ აღიდგინა. მასპინძლებს ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულის — პატრიკ რაფტერის, „სკად" ფილიპუსისისა და ბიჭისაოცრების, 16 წლის ლეიტონ ჰიუიტის იმედი აქვთ. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ დევისის თასის ტრიუმფატორი — იონას ბიორკმანი და ჩეხი პეტერ კორდა. ალმაცერობის გზაზე მდგარ ანდრე აგასთან შეხვედრასაც, ალბათ, ბევრი არ ისურვებს.

**ავთანდილ სვანიძე**



„მელბურნპარკის" ცენტრალური კორტი

## ქალების ბადე



მარტინა ჰინგისი

1/32 – 1/16 – 1/8 – 1/4 – 1/2

- ჰინგისი (1) - პრობსტი
- რიტნერი - შერჩეული
- კალენსი - მორარიუ
- კურნიკოვა - სტუდენიკოვა
- ბაზუკი - ტუ
- ბუგერტი - შერჩეული
- ი-ბულე - სნიდერი
- სიმპსონი - ვან რუსტი (14)
- შულც-მაკარტი (11) - მარუშკა
- ნაგიოვა - ვანდერლიხი
- მაკგრატი - იოშიდა
- რეიდი - ლიხოვცევა
- შერჩეული - რუბინი
- ბარაბანშიკოვა - ხლადკოვა
- ტორენს-ვალერო - ლუგინა
- ლი - პირსი (5)
- კუტცერი (3) - პაულუსი
- ნეილანდი - ბარკლი
- ბრენდი - ელვუდი
- ალარი - კიჯიმუტა
- გავალდონი - კრუგერი
- ჯეიასლანი - პარკი
- შერჩეული - სუკოვა
- პიტკოვსკი - ჰუბერი (10)
- სუგიამა (16) - ლორენცო
- ენდო - საეკი
- გრჟიბოვსკა - კრისტეა
- ვაიდიანათანი - პიციკინი
- შერჩეული - შერჩეული
- გლასი - ჰირაკი
- მაკაროვა - გოლარსა
- ლი - სანჩეს-ვიკარიო (7)
- მარტინესი (8) - კლოსელი
- კუნსი - ორემანსი
- კლეინოვა - რუანო-პასკუალი
- ნემჩკოვა - სიდო
- ლუბიანი - პანოვა
- დიას-ოლივა - შეტი
- შერჩეული - გრანდე
- ზვერევა - აპელმანსი (12)
- ტესტიუ (9) - გარსია
- კანდარი - ბროკმანი
- ჰუსაროვა - ინუე
- მალეევა - გერში
- ტანასუგარნი - ვენტო
- ვაგნერი - ვატანაბე
- სტაბსი - ლუჩიჩი
- სავამაცუ - მაიოლი (4)
- სპირლეა (6) - ს. უილიამსი
- დეშომ-ბალრე - ვ. უილიამსი
- მარესმო - ფარინა
- პლიჩკე - გალიარდი
- ვანგი - გოროჩატეგი
- დეში - შნიდერი
- დოპფერი - მიიაგი
- პრატი - რეიმონდი (13)
- დრაგომირი (15) - ბაბელი
- სერნა - მაკქვილანი
- გიუზი - ლაბატი
- კარლსონი - დომინიკოვიჩი
- მუსგრეივი - სუარესი
- საკიკი - პერფეტი
- ჰაბსუდოვა - შერჩეული
- კოშტო - დევენპორტი (2)

# მთის თხილამურობის მსოფლიო თასი

# ძლიერს ჰერმანიც, კატიაც

უძლეველი არავინაა. ავსტრიელმა ვაჟმა ჰერმან მაიერმა ზედიზედ ხუთ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ შაბათს იწვნია შარცხი, გერმანელმა ქალმა კატია ზაიცინგერმა კი ველარ გააგრძელა ჩქაროსნული დისციპლინების 6-სტარტა წაუგებელი სერია. მსოფლიო თასის აბსოლუტური ლიდერი გუშინ ერთბაშად ორ სახეობაში დაამარცხეს.

ვაჟები ვენგენში ასპარეზობდნენ. ეს დაბა იმითაა ცნობილი, რომ იქ მისვლა ოდენ ფუნიკულიორით შეიძლება. მიუხედავად ამისა, დაშვება ვენგენში აგერ უკვე 65 წელია იმართება და ერთ-ერთ კლასიკადაც მიიჩნევა.

შეჯიბრის მესვეური შორეულ 1930 წელს შვეიცარელი ერნსტ გერჩი ყოფილა. რაკი ვენგენში სტუმრობა ერთობ უყვარებიათ ბრიტებს და მათებურ სერ არნოლდ ლანს იქვე ჩამოუყალიბებია დაშვების წესები, გერჩს უცხოელები შეჯიბრში გამოუწვევია.

დღესდღეობით „ლაუბერჰორნის" ტრასა მსოფლიო თასზე უგრძესია და მეტად სახიფათოც. 4 260 მეტრის ჩამოსრიალებას ორ-წუთ-ნახევარი ჰირდება, რაც მოთხილამურეებს არაქათს აცლის. ამიტომაა, რომ მწვრთნელები საგანგებოდ აფრთხილებენ სპორტსმენებს, დასკვნითი 200 მეტრისთვის, „ცილშუსი" რომ ქვია და მოსახვევსა და ვეებერთელა ნახტომს მოიცავს, ძალა შემოინახეთ, თორემ ხიფათს გადაეყრებითო.

ამ რჩევის ქიუოლა ყველას ყოველთვის ვერ მოუხერხებია. 1991 წელს ავსტრიელი გერნოტ რაინშტადლერი ფინიშთან დაეცა, ცალი თხილამურის ჰვინტი დამცავ ბადეში გაებლანდა და დაიღუპა. შარშან მსგავსი მარცხი შეემთხვა ფრანგ ადრიენ დიუვიარს, რომელიც მასპინძლებს სასამართლოში დღესაც უჩივის, აქაოდა უსაფრთხოების წესებს უგულებელყოფთო. არადა, ვენგენში მოასპარეზეებს გრანიტის ორ კლდეს შუა და კიდევ სარკინიგზო გვირაბში გაძრომა რომ უწევთ, ამაზე საერთაშორისო ფედერაცია (ფის) თვალს ხუჭავს, რათა „ლაუბერჰორნს" უნიკალური პეწი არ მოაკლდეს.



შაბათს ესტაფეტა მაიერისგან შიფერერმა აიტაცა

მძლეთამძლე ჰერმან მაიერი ვენგენში პირველად ასპარეზობდა. პირველ ვარჯიშზე საუკეთესო შედეგი ფრანცს ალმოაჩნდა, მაიერი კი IV ადგილზე გავიდა. ხუთშაბათს ყველაზე მეტად შიფერერმა იყოჩაღა, მეიერი კი XVI იყო. მერე გათენდა პარასკევი და ჰერმანმა თარსი 13-ნომრიანი წინსაფრით მაინც მოიგო ზედიზედ მეხუთე შეჯიბრი.

სტარტზე ნისლი ჩამოწვა. ამის გამო ტრასა 3 080 მეტრამდე დაამოკლეს. შეჯიბრის დაწყება ერთი საათით დაგვიანდა. დაშვება მერეც ორჯერ შეწყდა — 15 და 40 წუთით. ავსტრიელებმა კვარცხლბეკი ვერ დაიპყრეს, მაგრამ მოწინავე ექვსეულში კი ხუთი კაცი გაიყვანეს.

შაბათს გაიმარჯვა შიფერერმა. ამით მან სეზონში მესამედ მოიგო დაშვება. ანდრეასმა სამივეჯერ მაშინ იპირველა, როცა დაშვებები დაწყვილებული იყო, მაიერი კი სეზონის 17 სტარტიდან 14-ჯერ მოხვდა სამეულში. ექვსეულში ისევ ხუთმა ავსტრიელმა შეაღწია. ტრასა მჭიდროდ აღარ დაუმოკლებიათ, თუმცა ცა ღრუბლიანი იყო. შეჯიბრი ისევ ერთი საათით გადადეს. მაიერი პირველსავე მოსახვევში შეცდა და სამოლოდ [illegible] ადგილი რომ მაინც დაიკავა, მოხარული ვარო, განაცხადა. ავსტრიელებმა კი მსოფლიო თასზე ამ დღეს დაშვება მესამედ (!) მოიგეს.

ვაჟთა წყალი ავსტრიელ მოთხილამურე ქალებსაც გადაესხათ. თუმცა ისინი მაიერსა და მის მეგობრებზე ნაკლებს არ ვარჯიშობენ, ამ სეზონში გუშინდლამდე ვერაფრით გაემარჯვათ, რის გამოც მედია მათ უწყალოდ აკრიტიკებდა.

ნავსი გუშინ გატყდა ალტენმარკტში. წესითა და რიგით შეჯიბრი იქ კი არ უნდა გამართულიყო, არამედ კიცბიუელის „შტრაიფზე", მაგრამ იქაურებმა თოვლი მოზიდეს და გადაინახეს ვაჟთა შეჯიბრებებისთვის, იქეთა უიკ-ენდზე რომ უნდა გაიმართოს.

მსოფლიო თასის აბსოლუტურ ლიდერ ზაიცინგერს მობეზრებოდა ზედიზედ ამდენი ტექნიკური დისციპლინა — სლალომი და გიგანტური სლალომი. კატიას ვარჯიშზე არც „კელბერლოხის" ფაფუკი თოვლი მოეწონა, რადგან პირველ ჯერზე თანაგუნდელმა გერგმა აჯობა, მეორეზე კი მასპინძელმა მაისნიცერმა.

შაბათლამ ჩამოთოვა და დაშვება კვირისთვის გადაიდო. გუშინ გამოიდარა და ევროპის დროით დილის 9 საათზე გაცდენილი შეჯიბრი დაიწყო, პირველის ნახევარზე — კალენდრით დათქმული სუპერ-გიგანტი.

ზაიცინგერმა ვერც ერთი მოიგო და ვერც მეორე. თქვა კიდეც, ყველა შეჯიბრში ვერ გაიმარჯვებო და დარდს არ მიცემია. 22 წლის ავსტრიელმა გეცლმა ამით კარიერის მეხუთე ტიტული მოიპოვა, 24 წლის გერმანელმა ერტლმა კი მეცხრე. სუპერ-გიგანტის შემდეგ გეცლი კვარცხლბეკზე მეორედაც უნდა შემდგარიყო, მაგრამ იქედან იგი გააგდო სიუშემ, ვისაც მე-40 სასტარტო ნომერი ქონდა.

ირაკლი ნინუა

### ვაჟები

ვენგენი (შვეიცარია). „ლაუბერჰორნი"

16.01. დაშვება: 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია); 2. ნიკოლა ბურტენი (საფრანგეთი) ჩამორჩა ნაშის 68 მეასედით; 3. ანდრეას შიფერერი (ავს) 72; 4. ჰანს კნაუსი (ავს) 113; 5. შტეფან ებერჰარტერი (ავს) 127; 6. ვერნერ ფრანცი (ავს) 128; 7. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 131; 8. ხუან-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 135

17.01. დაშვება: 1. შიფერერი; 2. ჟან-ლუკ კრეტიე (საფ) 97; 3. მაიერი 133; 4. ჰანს ტრინქლი (ავს) 148; 5. ებერჰარტერი 156; 6. კნაუსი 178; 7. კრისტიან გედინა (იტალია) 183; 8. ომოდტი 184

სეზონის 6 დაშვების ჯამი: შიფერერი 462 ქულა; 3. მაიერი 419; ებერჰარტერი 262; ფრანცი 238; კრეტიე 212; ლასე ხიუსი (ნორ) 197; გედინა 191; ტრინქლი 176; რილანდ ასინგერი (ავს) 175; ბურტენი 161

სულ 21 ეტაპის ჯამი: ჰ. მაიერი 1 279 ქულა; შიფერერი 752; ებერჰარტერი 738; მიხაელ ფონ გრუნიგენი (შვეი) 536; კნაუსი 476; ომოდტი 474; კრისტიან მაიერი (ავს) 394; ალბერტო ტომბა (იტ) 366; ხიუსი 354; ფრანცი 314

### ქალები

ალტენმარკტი (ავსტრია). „კელბერლოხი"

18.01. დაშვება: 1. რენატე გეცლი (ავსტრია); 2. კატია ზაიცინგერი (გერმანია) ჩამორჩა ნაშის 63 მეასედით; 3. ალექსანდრა მაისნიცერი (ავს) 113; 4. ფლორანს მასნადა (საფრანგეთი) 120; 5. მელანი სუჩეტ (საფ) 122; 6. მელანი შუსტერი (ავს) 124; 7. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 151; ... 14. პიკაბო სტრიტი (აშშ) 190; ... 19. მარტინა ერტლი (გერ) 212

სეზონის 4 დაშვების ჯამი: ზაიცინგერი 380 ქულა; გეცლი 232; სუჩეტ 190; კოსტნერი 156; მაისნიცერი 141; გერგი 129

სუპერ-გიგანტი: 1. ერტლი; 2. ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) 06; 3. სუჩეტ 36; 4. გეცლი 42; 5. ზაიცინგერი 55; 6. მაისნიცერი 62; ... 10. კოსტნერი 100

სეზონის 4 სუპერ-გიგანტის ჯამი: ზაიცინგერი 345 ქულა; გეცლი 225; ერტლი 214; კოსტნერი 206; გერგი 185; ცურბრიგენი 126; მაისნიცერი 124

სულ 22 ეტაპის ჯამი: ზაიცინგერი 1 204; გეცლი 920; ერტლი 851; დებორა კომპანიონი (იტ) 781; იულია ნოვენი (შვედეთი) 662; მაისნიცერი 661; გეცლი 511; კოსტნერი 468

გუშინ ვაჟები შვეიცარიულ ვენგენში [illegible] (შვეიცარია). აქ სლალომი იყო. გამარჯვება ოლიმპიურმა ჩემპიონმა თომას შტანგასინგერმა (ავსტრია), დიდი ტომბა კი 50-ე [illegible]. II ცდაზე [illegible] მეორე ადგილზე [illegible]. კომბინაციაში გამარჯვებული ჰერმან მაიერი აღმოჩნდა.

## რალი

# ნევოს გაუსწრო

რალთა რალი მშვიდობიანად ჩამთავრდა. ერთმა ფრანგმა — ფონტანეიმ [illegible] გამარჯვა ავტომანქანათა კატეგორიაში, მეორემ — პეტრანსელმა კი მეექვსედ მოიგო მოტოციკლისტთა შეჯიბრი, რითაც თანამემამულე სირილ ნევოს მიღწევა ერთით გააუმჯობესა.

პარასკევის 454 კილომეტრა სტადია (ატარი — ბუტილიმიტი, ორივე მავრიტანია) მოიგეს ფონტანეიმ და ბრიტანელმა მოტოციკლისტმა ჯონ დიკონმა (კტმ). პეტრანსელმა ამ დღეს მეორე ადგილი დაიჭირა და ჯამში თითქმის ერთი საათით გაუსწრო უახლოეს მდევარ მეონის.

შაბათს ქარავანმა ბუტილიმიტიდან სენ-ლუიმდე (სენეგალი) 313 კმ გაიარა. პეტრანსელი ჯაგნარში გადავარდა და VII ადგილს დაჯერდა, თითო ჩქაროსნული მონაკვეთი კი კოქსმა და იიმინკმა მოიგეს. და მაინც, პეტრანსელს 32-წუთა მარაგი შერჩა.

ავტოთა შეჯიბრში ჯერ შლესერმა იმარჯვა, მერე შინოზუკამ. შლესერს მეორე მონაკვეთზე ზღვაში რომ ჩაუვარდა მანქანა, გერმანელი ქალბატონი იუტა კლაინშმიდტი მიეშველა. ფონტანეის დასკვნითი სტადიის წინ საათა და 41 წუთა უპირატესობა ქონდა.

გუშინ ფინიში სენეგალის დედაქალაქ დაკარში მოეწყო. სენ-ლუიდან იქამდე 237 კილომეტრი კია, მაგრამ მათგან ჩქაროსნული ოდენ 18 იყო. ავტოთა სპრინტში „მიცუბიშებს" კლაინშმიდტისა და შლესერის „ბაგებმა" აჯობეს. მოტოციკლისტებში არკარონსმა იმარჯვა, პეტრანსელი კი X ადგილს დაჯერდა.

თენგიზ არტამონოვი



### XX „პარიზი – დაკარი"

საბოლოო ვითარება

ავტოები: 1. ჟან-პიერ ფონტენეი (საფრანგეთი, მიცუბიში) 65 საათი 25 წუთი 58 წამი; 2. კენჯირო შინოზუკა (იაპონია, მიცუბიში) ჩამორჩა 1:45.44-ით; 3. ბრუნო სები (საფრანგეთი, მიცუბიში) 1:59.01; 4. ჰორხე მახუკა (იაპონია, მიცუბიში) 5:55.27; 5. ჟან-ლუი შლესერი (საფრანგეთი, ბაგი) 8:10.39; 6. ფილიპ აიო (საფრანგეთი, ნისანი) 11:39.43

მოტოციკლები: 1. სტეფან პეტრანსელი (საფრანგეთი, იამაჰა) 62:39.37; 2. ფაბრიციო მეონი (იტალია, კტმ) 30:29; 3. ენდი ჰეიდონი (ავსტრალია, კტმ) 1:19.42; 4. ალფი კოქსი (სამხრეთ აფრიკა, კტმ) 2:25.57; 5. ჟერარდ იიმინკი (ჰოლანდია, კტმ) 3:16.29; 6. ხორდი არკარონსი (ესპანეთი, კტმ) 4:57.44

## რაგბი

# იტალიელებს ეღირსათ



იტალიამ მიზანს მიაღწია. პარასკევს პარიზში გამართულ „ხუთი ერის პირველობის კომიტეტის" სხდომაზე ფორმალურად შეიწყნარეს მისი განცხადი, 2000 წლიდან ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ამ უპრესტიჟულეს ტურნირში მონაწილეობა გვსურსო.

ბოლოსდაბოლოს მოლბნენ ბრიტანული რაგბის ზვიადი მამები. ფრანგები სამხრეთელ მეზობელს ლათინური სოლიდარობის გამო ოდითგან პატრონობდნენ და სისტემატურად ეთამაშებოდნენ, ბრიტებმა კი „ცისფერ გუნდს" ბოლო წლებშიღა გაუღიადრეს თავი.

ლათინებმაც რამდენჯერმე ძლიეს ირლანდია, კინაღამ შოტლანდია და უელსიც გააბუნძურეს, მაგრამ დაგვიხედეთ რაგბის მომგონთა სიჯიუტეს — დიდი პოტენციის პატრონ სარაგბო ქვეყანას ყურით მოთრეული მიზეზების მოშველიებით ეუბნებოდნენ უარს წმიდათაწმიდა „ხუთ ერში" ჩართვაზე.

მიზეზები მართლაც რომ სასაცილო იყო: ესაო და თქვენი დღევანდელი დონე დროებითია და დიდხანს ვერ შეინარჩუნებთო; შინაური პირველობა სუსტი გაქვთ და მის თამაშებზე ხალხი ცოტა დადისო; და კიდევ, [illegible]

ახლა ყველაფერს თავ-თავისი სახელი დაერქვა. სამართალმა პური ჭამა. გაირღვა მოჯადოებული წრე. ახალმა ძალამ შეაბიჯა ელიტარულ კლუბში, 1910 წლიდან მოკიდებული კარს რომ არავის ულებდა. იმ წელს ბრიტებმა საფრანგეთი გაირიეს მარაქაში, თავად კი რეგულარულად 1883 (!) წლიდან ეთამაშებოდნენ ერთი მეორეს.

პარიზის სხდომაზე იტალია საძმოში ერთხმად მიიღეს. ხუთივე ქვეყნის ორ-ორმა

იტალიის აღიარება დიეგო დომინგესის თაობის დამსახურებაა

დელეგატმა პირველობაზე მის დაშვებას დაუჭირა მხარი. ერთი კია, გადაწყვეტილების რატიფიკაცია ინგლისის რაგბის კავშირის ალმასკომს კიდევ მართებს, რაც დროის ამბავია.

ლათინებს ცდა 2000 წლამდე რომ უწევთ, იმის გამოა, რომ იმ დროისთვისღა გაუვა ყაველი კონტრაქტებს, პირველობის მონაწილეებს ტელე-კომპანიებთან რომ აქვთ დადებული. და მაინც, ბრიტები იტალიას ამ სეზონშივე ბლომად ეთამაშებიან: დეკემბერში ირლანდიამ ბოლონიაში 22:37 წააგო, ამ შაბათს კი ტრევიზოში შოტლანდია ჩავა.

„ხუთი ერის" რაგბის მამებს პარიზში სხვა საჭირბოროტო საკითხებიც განუხილავთ. წლევანდელი პირველობა 7 თებერვალს რომ დაიწყება და აპრილში დასრულდება, უკვე სიახლეა. ევოლუციის შემდეგი საფეხური ტურნირის აპრილ-მაისში გადატანა და მისი ზედიზედ ხუთ უიკ-ენდზე გამართვა ყოფილა. ეს, მიხვდებოდით, კეთდება ფასიანი ტელე-არხების კარნახით. მათ ხომ ჭეშმარიტი „მსოფლიო სერიის" მოწყობა სურთ და საამისოდ სახსარსაც არ იშურებენ, ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნახევარსფეროებში სარაგბო სეზონი ერთდროულად რომ იდგეს.

ნიკო ვეფხვაძე

### ესპანელებმა კითს დაუჯერეს

ლათინებს რაგბში დიდი ამბიციები გაჩენიათ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ოთხშაბათს ესპანეთის რაგბის ფედერაციამ, არც მეტი და არც ნაკლები, 2003 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობის სურვილი ოფიციალურად გამოთქვა.

რაღა დარჩენოდა შპს „რაგბის მსოფლიო თასის" მთავარ აღმასრულებელ კით როულენდზს და ხუთშაბათს მადრიდს ჩაფრინდა, რათა ვითარებას ადგილზე გაცნობოდა. ინსპექცია იმით დასრულდა, რომ ესპანეთმა ქოში უმალ უკუ ყარა და აქცენტი 2001 წლის შვიდკაცას მსოფლიო თასის მასპინძლობაზე გადაიტანა.

ბრძანა ესპანელთა მდივანმა ხოსე მორენომ: როულენდზი გაგვენდო, რომ 2003 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობა ნაღდად ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას საზიაროდ დაეკისრებათ, რაკი რიგი სამხრეთ ნახევარსფეროს უწევს, თქვენ კი გირჩევთ, შვიდკაცას მიაპყროთ მეტი ყურადღება, რადგან ინფრასტრუქტურა და ტურისტული საცდურებიც ისეთი გაქვთ, სამდღიანი სალაღობო შეჯიბრის გამართვას რომ შეეფერება და არა ელიტარული, 20-გუნდა, ერთ-თვიანი ჩემპიონატისასო.

როულენდზმა აგრე რომ დაგვმოძღვრა, რა გვექნა, დავუჯერეთ და ახლა 2001 წლის შვიდკაცას დასათრევად ვემზადებით. მით უფრო, რომ ბატონ კითის თქმით, რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) მოხარული იქნება, თუ დიდი რაგბი ტრადიციულ საზღვრებს გადალახავს და უპირველეს შეჯიბრებებს აქამდე არასარაგბოდ შერაცხულ ქვეყნებში გამართავს.


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



რაგბის სამყარო ESPN

მსოფლიო რაგბის კვირეული მიმოხილვა

WORLD OF RUGBY

23.01 - 18:00; 24.01 - 4:00; 27.01 - 20:30
30.01 - 18:00; 31.01 - 4:00

საქართველოს თარიღითა და დროით



სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექვლია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ ღოლენჯაშვილი
ბადრი კუთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გვლეტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29